ეკრ

№ 16

შინაარსი: ნასწავლი ხალხი და სოფელი; — ქართველ ქალს **აკაკისა**; სიმახინჯე დრამა — **ნ. შიუკაშვილისა**; ეროვნული მოძრაობა **გ. გვაზავასი**; ოდოდები — **შ. არაგვისპირელისა**; ინგილოთა ცხოვრება — **ზ. მდილისა**; სალიტერატურო დილა ქარ. გიმნაზიაში — **ი.** ნუცალ ხანი — **ივ. ბუქურაულისა.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტფილისი, 23 მაისი საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ჟურნალი 1910 წ.

ნასწავლი ხალხი და სოფელი.

ჩვენს ცხოვრებაში იწყება ახალიხანა. თუ აქამდის მოხელეობის განუსაზღვრელი ბატონობა მუხრუჭს გვიჭერდა, დღეს ამ ბატონობას სხვა ელფერი მიეცა. საზოგადოებრივი ცხოვრება გართულდა, რუსეთში შემოვიდა წარმომადგენლობითი წესი და ამით კანონმდებლობაში და სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში ხალხსაც ხმა მიეცა. მართალია, კანონი, რომლითაც დღევანდელი არჩევნები განსაზღვრულია, მეტად შევიწროვებულია, მაგრამ რაც უნდა იყოს, რუსეთის იმპერიაში არსებულ პოლიტიკურ მიმდინარეობათ იქ თავისი წარმომადგენლები ყავთ. თქვენ რომ ამ პოლიტიკურ პარტიების პროგრამები გადათვალიეროთ უკიდურეს მემარჯვნეებიდან დაწყებული უკიდურეს მემარცხენეებამდე, ვერც ერთ პარტიის დებულებაში ვერ ჰპოებთ ეროვნულ საკითხის ისეთს გადაჭრას, რომელიც სხვა და სხვა ეროვნებათა სრულ განვითარებას უზრუნველყოფს. პირიქით უკიდურესი მემარცხნეც გეტყვით: ჯერ საერთო თავისუფლება, ჯერ მოქალაქობრივ უფლებათა გაფართოება და მხოლოდ შემდეგ თქვენზე ვიზრუნებთო. ეს იგივეა, რაც დღეს მთავრობა ამბობს: ჯერ დამშვიდება და შემდეგ რეფორმებიო. გამშვიდებს და გამშვიდებს, სანამ წელში არ გაგწყვეტავს, მაშინ როდესაც თვითონაც კარგად იცის, რომ საუკეთესო საშუალება წესიერ ცხოვრებისათვის არის ძალმომრეობის შემცირება და ფართო მოქალაქობრივ წყობილების დამყარება. მემარცხნე პარტიებმაც კარგად იციან, რომ მოქალაქობრივი თავისუფლება თუ შესაძლებელია, მას აუცილებლივ თან უნდა ახლდეს ეროვნულ არსებობის უზრუნველყოფაც. შეუძლებელია პიროვნებას მოქალაქის უფლებანი მიანიჭოთ, ხოლო ეროვნულად ის უუფლებოდ დასტოვოთ, თუ საფრანგეთის რევოლუციის შემდეგ კლასთა ბრძოლა გაღრმავდა და ჩამოყალიბდა, არა ნაკლებ გაღრმავდა და გარკვეული სახე მიიღო ეროვნულმა ბრძოლამაც. თუ ნაპოლეონის ძლევა-მოსილ გამარჯვებათ თავისუფლების შუქი შექონდა სხვა და სხვა ხალხში და მტარვალთა წინააღმდეგ ხალხს ამხედრებდა; არა ნაკლებ აღვიძებდა ეროვრულ გრძნობას, შეგნებას და ეროვნულ დამოუკიდებლობის სურვილს. მეცხრამეტე საუკუნე თანაბრად კლასობრივ ბრძოლის და ეროვნებათა თავისუფლებისათვის ბრძოლის საუკუნეა. მრავალ საუკუნის მონობისაგან განთავისუფლებული საბერძნეთი, გაერთიანებული იტალია, თავისუფალი სერბია, ბოლგარია, უნგრეთი, გერმანიის გაერთიანება — აი ეროვნულ გამოღვიძების შედეგი. ეს გამარჯვებულნი, ხოლო არა ერთი ერის მისწრაფება დამარცხებითაც დამთავრდა. საკმარისია მოვიგონოთ პოლონეთის აჯანყებანი. ხოლო ესეც არ გვაძლევს სრულს სურათს. არა ერთი ერი ისევ სხვა ხალხთა სახელმწიფოს ფარგალში დარჩა და დღესაც განაგრძობს ბრძოლას თავის არსებობისათვის. გაიხსენეთ ავსტრია და მისი შემადგენელი ერები, რომელნიც საერთო ჭიდილში ცდილობენ კულტურულ ძლიერებით ერთმანეთს გაუსწრონ. მკვლევარნი სამართლიანად აღნიშნავენ, რომ ეროვნულმა ბრძოლამ, ეროვნულ უფლებათა მოსაპოებლად საჭირო გაძლიერების სურვილმა გამოიწვია ავსტრიის ერებში ისეთი ძლიერი კულტურული მისწრაფებანი, რომ საოცარ სიმაღლეზე აიყვანა ეს ერნი. საკმარისია დავასახელოთ ჩეხია, რომლის შვილნი დღეს სამართლიანად ამაყობენ თავისი განვითარებით და დაწინაურებით. და ეს მათი დაწინაურება შედეგი არის ხანგრძლივი თვითმოქმედებისა. რამდენად მათ წინააღმდეგ ამარ-

თული გერმანიზმი მათ გასრესას და ჩაგთქვას უპირებდა, იმდენად შინაგანი ცეცხლი, თვითმოქმედების სურვილი მეტად ძლიერდებოდა და გერმანიზმი ცენტრალიზმით და სახელმწიფოებრივ ძალდატანებით გამაგრებული უკან-უკან იხევდა. ბრძოლამ ნაყოფი მოიტანა, გუშინდელ მონას დღეს ფართო განვითარების ასპარეზი წინ გადაეშალა. დღეს მტერიც და მოყვარეც იძულებულია მას პატივისცემით მოეპყრას, დღეს ჩეხია საკაცობრიო ფერხულში ჩაბმულია და ღირსეული წევრიც არის.

ცხოვრების დევიზი — ვინც უმოქმედოა, ის გაქრობის ღირსია, განსაკუთრებული ჭეშმარიტებით მართლდება ეროვნებაზე, ამ მეტად რთულ სათუთ სოციალურ არსებაზე. ბრძოლა არსებობისთვის საზოგადოებრივ ცხოვრების მრავალ მხრივ სარბიელზე —აი თავის დაცვის და ამაღლების გზა. ყოველი წევრი თავის პოზიციას უნდა ამაგრებდეს, ყველას უნდა ასულ დგმულებდეს არა მარტო პირადი ინტერესი, პირადი მისწრაფება, არამედ საერთო ეროვნული. თქვენ კარგი მეურნე ხართ, შეგაქვთ გაუმჯობესება თქვენ დარგში, ამით თქვენ თქვენი ერის კულტურასაც ამაღლებთ, თქვენ მეცნიერი ხართ, აზროვნებას წინ სწევთ—ამით თავის სამშობლოს დამამშვენებლად ხდებით, თქვენც ხართ სოფლის მასწავლებელი, — ხალხში ცოდნა შეგაქვთ, ადამიანის ბუნებას ზრდით და ანვითარებთ, ამით თქვენ თქვენი ერის დაწინაურებას და გაღონიერებას ემსახურებით. ერთი სიტყვით, ყოველი თვითმოქმედება ყოველი მუშაობა, რომელსაც კი კეთილი ნაყოფი სდევს, ამავე დროს არის საერთო მუშაობაც, საერთო აღმოძინებისაკენ მიმართული. საზოგადო მისწრაფებას მოკლებული ადამიანი იგივე ნიადაგ გამოცდილი ხეა. ის უსათუოდ უნდა დაეცეს, უნდა დამდაბლდეს. საზოგადო კანონია, რომ ყოველ რეაქციას თან ახლავს ზნეობრივი დაცემაც. უიმედობა, საზოგადოს შესუსტება პიროვნებაში, პიროვნებასაც ამცირებს და მასში ცუდ აღღოს აღვიძებს. ხოლო გრძნობა იმისა, რომ ის ერთი მთელის წევრია, რომ ის შეკავშირებულია თავის ერთან მრავალ საუკუნოების ისტორიით, საერთო შეგნებით და მისწრაფებით, მას აღფრთოვანებს და იწვევს საერთო მუშაობისკენ. განსაკუთრებულ სიმწვავით უნდა გრძნობდეს ადამიანი ამ ერთობის შეგნებას, როცა მისი ერი დაჩაგრულია, როცა ამ მრავალ საუკუნოებით შექმნილ ერთობას, კულტურას განსაცდელი მოელის. ჩვენდა სამარცხვინოდ ჩვენში უკულმართმა აღზრდამ შესამჩნევად შეასუსტა ეს ეროვნული შეგნება მაშინ, როცა განსაკუთრებულად საჭიროა მისი არსებობა, როცა თვითმოქმედება მეტად გვესაჭიროება. ერთი დიდი ნაკლი უკულმართი აღზრდისა არის ხალხის, უმრავლესობის და ინტელიგენციის დაშორება. ინტელიგენცია ხალხს მოწყდა, სხვა ნიადაგზე გადასკუპდა და ამით თვითონაც დასუსტდა და თავის ერისთვისაც ურგები გახდა. მოსპობა ამ მეტად მავნე მოვლენისა ჩვენთვის დღეს შეუძლებელია, მაგრამ საჭიროა ყოველი ღონე ვიღონოთ, რათა ეს მოვლენა შევასუსტოთ. საუკეთესო საშუალება კი ამისთვის არის ხალხისკენ პირის მიბრუნება. აი ზაფხულიც მოვიდა. მთელი ჩვენი მოსწავლე ახალგაზდობა და ბევრი სხვა ინტელიგენტიც სოფლისკენ მიეშურება. ეს ისეთი დროა, როცა კაცს მეტი თავისუფლება აქვს, როცა ის თავისი დროის უფალია. აი აქ შეუძლია მას გაარღვიოს ის სიდუხჭირე, რომელიც მას თავს მოახვიეს. ყოველ წერა-კითხვის მცოდნეს ფართო და მაღალ სარბიელი ეშლება თვალ წინ. დაუკვირდით ხალხის სულიერ ცხოვრებას, შეისწავლეთ მისი სულიერი ვითარება, ჩასწერეთ სახალხო ზღაპრები, არაკები, ანდაზები, გამოცანები და სხვა თქმულებანი, მათი მოსმენა თქვენც დაგაახლოვებთ, ხალხთან, ხოლო მათი შეკრება და გამოქვეყნება ლიტერატურული განძიც იქნება, დაუკვირდით ხალხის სოციალურ მდგომარეობს, შეისწავლეთ დაწვრილებით წოდებრივი ურთერთობანი და ის ფორმები, რომელშიც ურთიერთობანი მეღავნდება. დააკვირდით ხალხის ეკონომიურს ცხოვრებას და შეეცადეთ აღნიშნოთ, თუ რა ცვლილებანი ეტყობა მას, საითკენაა მომართული ხალხის ეკონომური განვითირება. შეისწავლეთ ხალხის მეურნეობა, აღნიშნეთ, თუ რა ახალი დარგი იკიდებს ფეხს, რა უშლის ხელს ამ დარგის განვითარებას და რა ზომებია საჭირო მის დასამკვიდრებლად. თქვენ ამჩნევთ, რომ ხალხი სულიერად ჩამორჩენილა, ბევრ ადგილს წერა-კითხვაც არ იციან. თუ თქვენში ღვთის მადლი ბუდობს აიღეთ ანბანი, მთელ ზაფხულში ათიოდე კაცს თვალი აუხილეთ. ერთი სიტყვით, ასპარეზი მეტად ფართოა, აქ სამუშაო ულეველია. მაშ მოიკრიბეთ ძალღონე გადალახეთ ხელოვნურად ამართული კედელი და თავისი ერთგულებით, თავდადებით დაუმტკიცეთ ხალხს, რომ თქვენ მისთვის კეთილი გსურთ, გსურთ მისი ამაღლება და წინსვლა.

563
ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲥᲐᲚᲡ

(ᲒᲣᲛᲓᲒᲜᲘ ᲔᲚᲔᲜᲔ ᲛᲐᲩᲐᲑᲔᲚᲡ)

თქმულა: „ელენეს მშვენებამ
ტროადი დაარღვიაო,
ისე, რომ ნამოსახლარის
ნიშანი არ ატევიაო“.

—

ამას ჰუმიროს მოგვითხრობს,
გადასულ ამბების ზღაპრულად
და ჩვენც ბერძნების ცხოვრებას
ვითვალისწინებთ მით სრულად.

—

აქილეს, ჰექტორ, აიაქს,
აგამემნონი, ულისა
და სხვა გმირები ამ ამბის
ჩამდგმელი იყვნენ სულისა.

—

ისე აგვიწერს მგოსანი,
თითქოს ვხედავდეთ თვალითა
და მათთან ერთად დამტკბარი
ვხარობდეთ მომავალითა.

—

ის, რაც ეოთვილა, წასულა!
მეორედ ადარ იქნება!
და ამ ჩვენ დროსთვის დარჩება,
როგორც ზღაპარი... ოცნება.

—

მაგრამ სხვა გვარი გმირობა,
ჩვენ დროს რომ შეეფერება,
ასურთოვანებს მგოსანსა,
და კიდევ დაიმღერება!

—

ელენე გქვია შენც, ქალო,
ბერძნების ქალის სახელი,
მაგრამ შობილხარ სხვა დროში
და სულ სხვების ხარ მძარხველი.

—

სამშობლო შენი ქართლია,
დღეს თითქმის მიძინებული,
და იმის სასიყვარულოდ
თუ კიდევ გიძგერს შენ გული,

—

გამოადვიძე სამშობლო,
მიჰყევი „ელენობასა“!
თუ სიდამაზემ არ გასწრას,
მიენდვე ჭკუა-გრძნობასა.

—

და მოძრაობის მიზეზად
შენც აირჩიე „პარისი“!..
მაგრამ ის იყოს უნდა კი
სულის ჩამდგმელი პარიზი.

—

იქ მოიკრიბე ძალ-დონე,
იქვე ამადლდი სწავლითა,
რომ ინუგეშო აწმყოში
უკეთეს მომავალითა.

—

ნუ აჰყოლიხარ, ნუ მისდევ
იმ ჩვენ დღევანდელ ქალებსა,
რომ დაეძებენ სულ სხვაგან
საქვეყნო იდეალებსა!

—

სჯობს დაემსგავსო გადასულ
ძველებურ ქართველ დედებსა,
შვილებს რომ ზრდიდენ არწივად,
თვითონ ჭაბაძვდენ მტრედებსა.

—

მაგრამ სხვა იყო ძველი დრო
მტკიცე სისხლით და ომითა.
დღეის დღე კაიწონება—
მხოლოდ ოფლით და შრომითა,

—

და შენც ეცადე: შვილები
გახდენ გმირულად მშრომელი,
მოჭირნახულე თავისა
და სხვების არას მდომელი!

—

მაშინ „ტროადად“ გაჰქრება
ეოველი სისხლის მთხეველი
და ამაღლდება სანატვლოდ
მსოფლიო საკურთხეველი.

აკაკი.

ინგილოთა ყოფა-ცხოვრება

((ეთნოგრაფიული წერილები)

3.

ნიშნობა და ქორწილი.

ინგილოთა ჩვეულებებში ყველაზედ უფრო მეტი ეროვნული ელფერი ქორწილსა და ნიშნობას შერჩენია, იგი სავსებით მოგვაგონებს ძველებურს ქართულს მამაპაპურს ქორწილს, რომელიც პირვანდელის სახით მხოლოდ საინგილოში შენახულა. თუმცა დღეს ბევრნი სავსებით ისე აღარ დღესასწაულობენ ქორწილს როგორც ძველად და მრავალ წვრილმანს აღარ მისდევენ, მაგრამ ჩვენ მაინც ვეცდებით სრული სურათი წარუდგინოთ მკითხველს ინგილოური ქორწილისა.

უპირველეს ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ, რომ საინგილოში ისევე როგორც ძველად საქართველოში, დღესაც ბევრგან აკვანშივე ნიშნავენ ბავშვებს. —ჯან, ბიაგორ კაი გადაიარა (ბიჭია): ეტყვის ერთი დედა მეორეს. —თუ მოჰწონ შენ ქალ შენ გადაიბე იქნეს, —მიუგებს მეორე და ამ დღიდგან დაბევებულად ითვლებიან. მაგრამ უფრო მშირად 8-14 წლიანებსა ნიშნავენ.

დანიშვნამდის ირჩევენ მაჭანკალს, რომელიც ქალიშვილის ახლო ნათესავთაგანი უნდა იყვეს, სიძე ან მამიდის ქმარი. მაჭანკალი მიდის ქალიშვილის მშობლებთან და თუ საქმე მოაგვარა და დაითანხმა, მაშინ ვაჟის სახლიდგან გაგზავნიან წინასწარ ნიშანს, ანუ საწინდეს. ეს საწინდე შესდგება ერთის აბრეშუმის ქალალდისაგან, რომელშიაც გამოხვეულია ვერცხლის მანეთიანი, კამფეტები და ქიშმიში.

ქალის მშობლებს საწინდეს რომ მიუტანს მაჭანკალი თან დაეკითხება, ბოლოს მოგიტანოთ ნიშანიო. დანიშნულს დღეს ბიჭის სახლში მხიარულება-წვეულებაა, მოიწვევენ ყველა ნათესავებსა და მეზობლებს. დილიდგანვე მთელი ოჯახი დიდს სამზადისშია, აცხობენ პურს, ნაზუქებს, ამზადებენ საკლავს, ჰლებავენ კვერცხებს წითლად, თავს უყრიან ნიშნად წასაღებს ძღვენს და სხვა.

მთელი დღე ოჯახში მხიარულება-შექცევაში არიან. სუფრაზედ მაჭანკალს საპატიო ადგილი უჭირავს და ნიშნად პატივისცემისა რამდენიმე მოხარშულს დედალს მიართმევენ. ამ შექცევის დროსვე ფულს აგროვებენ საპატარძლოსათვის, პირველად მამამთილი ე. ი. ბიჭის მამა უნდა ჩამოვიდეს ფულსა. ამ დროს მაჭანკალი დაიყვირებს — მამამთილი სდებს ამდენსაო, რაზედაც ყველანი ერთბაშად უპასუხებენ „ააშენოს“. ყველანი რიგ-რიგობით ჩამოდიან სარძლოსათვის ფულს. ზოგი ფულის მაგიერ სხვა რამ საჩუქრებს უგზავნიან სამოზიარეს, მძივებს, ჯუნოს, სალტეს და სხვ, დაბოლოს ფულის რაოდენობასა სთვლიან და მაჭანკალს აბირებენ. ასეთს დროს გატარებაში არიან საღამომდის. ამ დროსთვის უკვე დამზადებულია ნიშანი და ძღვენი სარძლოს ოჯახში წასაღებად, ესენია: ქალაღა, რომელშიც 1-3 მანეთი ვერცხლის ფულია და ოქროს ან ვერცხლის ბეჭედი შეხვეული, კამფეტი 5 გირვანქა, ქიშმიში, თხილი, წაბლი, სარკე, სავარცხელი, 40 ნაზუქი, 30 წითლად შეღებილი კვერცხი, 40 პური, ერთი ცხვარი და რამდენიმე ჩაფი ღვინო.

ყველა ამეებს ხურჯინებში ალაგებენ, შემდეგ ბინდისას ან ურმით, ან ცხენით მიაქვს სარძლოსთან მაჭანკალს, რომელსაც თან აყოლებენ მახლობელს ნათესავს მას, დეიდაშვილს ან ბიძაშვილს. როცა სახლიდგან ურემი დაიძვრება, მაშინ გაისვრიან თოფს, შემდეგ ისევ გასტენავენ და მივლენ თუ არა სარძლოს სახლთან იქაც ერთხელ გაისვრიან და ამითი შეატყობინებენ თავიანთს მისვლას. თოფის ხმაზედ გამოეგებებიან სახლის პატრონნი, რომელსაც მისულნი სალამის მიცემისათანავე ეტყვიან: —ღმერთმა ბახტიანი (ბედნიერი) გაგხადოსო.

მოტანილს ნიშანსა და ძღვენს სახლში შეიტანენ, დაჭკლავენ მიყვანილს ცხვარს და ვახშმის თადარიგს შეუდგებიან. ამ დროსთვის ქალიანთაც მოწვეული ჰყავთ მახლობელი ნათესავები და მეზობლები ვახშმათ. როცა ყველანი ვახშმათ დასხდებიან ქალის მახლობელი ნათესავი ან დედ-მამა ამოალაგებენ ხურჯინსა და ჩამოარიგებენ ნაზუქებსა და სხვა რამ მოტანილს საჭმელსა. შუა ვახშმობაში, რომ შევლენ კიდევ ამოიღებენ ფულსა და კერძოთ ქალისათვის გამოგზავნილ საჩუქრებსა და თან ასახლებენ ვის რამდენი და რომელი საჩუქარი გამოუგზავნია.

ამ მხიარულებას თვით ქალიშვილი არამც თუ არ ესწრობა, არამედ სხვაგან სადმე არის და ხშირად თვით საქრმო არასდროს თვალითაც არ დაუნახავს.

ამ ნიშნობის შემდეგ არ გაივლის ორი-სამი კვირა, რომ ქალის ოჯახიდგან უგზავნიან ვამამთილიანთ ქალიშვილისაგანვე მოქსოვილს წინდებს დედამთილ-მამამთილსა და მახლობელ ნათესავთათვის არა ნაკლებ 15 და არა უმეტეს 30 წყვილისას. თითონ სასიძოს კი ეგზავნება ფულების ქისა მოქსოვილი ან ფერად ნაჭრებისაგან შეკერილი.

ნიშნობიდგან დაწყებული ვიდრე ჯვარს დაიწერდნენ წელიწადში სამჯერ ახალწელიწადს, აღდგომას და მარიამობას დანიშნულ ქალიშვილს ეგზავნება მცირე ძღვენი და საჩუქრები. სამაგიეროთ ქალიშვილი უგზავნის დანიშნულს ფერად ძაფებით მოქსოვილ წინდებს. დანიშნულს ქალიშვილს გარდა ამისა ყოველ შემოდგომაზედ ეგზავნება ნახევარ ფუთი მატყლი და ერთი გირვანქა აბრეშუმი.

ქორწილი საინგილოში, როგორც საზოგადოდ გლეხკაცობაშია მიღებული, შემოდგომობით იციან, როცა გლეხკაცი უფრო ღოინერია წლის მოსავლით პურით, ღვინით და სხვით. საინგილოში ერთ გადაწყვეტილ დროს იციან ქორწილების გადახდა. ეს დრო 10-15 ნოემბერია ე. ი. ქურმუხის წმინდა გიორგის დღესასწაულის შემდეგ, რომელიც 10 ნოემბერს მოდის. ამ ხნის განმავლობაში თავდება ქორწილები და სხვა დროს იშვიათად იქორწინებს ვინმე. ვინც ქორწინებას ეპირება ქურმუხობამდის უნდა შეუდგეს თადარიგს.

ერთის თვის წინად ქურმუხობამდის ვაჟის მშობლები უგზავნიან არჩეულს მაჭანკალს ქალის მშობლებს საბოლოოდ მოსალაპარაკებლად და საქმის გასათავებლად. ჩვეულებრივ მშობლები ნაზობენ, უარზედ არიან, ჯერ არ მოგათხოვებთ ქალს

ტიზა არ გაუკეთებიაო (ე. ი. ჯეჯიმებსა და შალვების მოქსოვა კარგად არ უსწავლიაო) და სხვა და სხვა. მაგრამ უფრო იმიტომა ნაზობენ და თავს იდებენ, რომ რაც შეიძლება მეტი გამორჩნენ სასიძოს. მაჭანკალი ხშირად ორჯელ სამჯერ ტყუილადა ლახავს ხოლმე გზასა, მაგრამ განაზებული ქალის მშობლები დაბოლოს მაინც სთანხმდებიან და გაიმართება გძელი და ხანგრძლივი მოლაპარაკება დანარჩენ პირობებზედ. მთავარი ადგილი ამ მოლაპარაკებაში სამამის ფულს ანუ ათალუოს უჭირავს. საქმე იმაშია, რომ საინგილოში დღემდის პირვანდელი ხალხის ჩვეულებაა დარჩენილი, რომელსაც დღეს მხოლოდ ველურს ხალხში ღა აქვს ადგილი. ყოველი სასიძო მოვალეა ქალის მშობლების სასარგებლოდ გადაიხადოს ფული და რამდენადაც ქალი ლამაზია და კარგი ოჯახიდგან არის მით უფრო მეტია ეს გადასახადი, რომელიც ხშირად 100-400 მანეთამდის ადის, ეს ქალის მშობლების სასარგებლოდ გადასახადი ფული ანუ ათალუოი საინგილოში მცხოვრებ ყველა ერებშია დარჩენილი და არც ერთი მშობელი ისე არ გაათხოვებს თავის ქალიშვილს, რომ ფული არ აიღოს. რასაკვირველია, ამ ჩვეულებას საფუძვლად ის რკინის კანონიც უდევს, რომ საინგილოში დიდი სიმცირეა ქალებისა და ხშირად იძულებული სხვათა ადგილებიდგან შეიმსოს ხოლმე ნაკლი. მაგრამ სხვათა ადგილებიდგან მოყვანილნი, რადგანაც ისე გამოსადეგნი და მომუშავენი არ არიან, როგორც ინგილო ქალები, ამიტომ ინგილო არჩევს თავისიანივე ითხოვოს, რაც გინდა ძვირად დაუჯდეს იგი.

ამ სამამისო ფულის გარდა, რომელიც მძიმე უღლად აქვს ყველას, სასიძო მოვალეა ყოველივე ზითები, ტანისამოსი და სამკაული უყიდოს საცოლეს. ჯიზა (მზითები) შესდგება არა ნაკლებ 6-15 ჯეჯიმისა, რამდენიმე ხელი ქვეშსაგებისა, აფთაფისა (სპილენძის დიდი თუნგისა) და სხვა ოჯახის ავეჯეულობისაგან. ქალს ტანსაცმელი უნდა მოუტანონ სამი პერანგი ყოზაუზისა, ერთი თაფთისა, ერთი კიდევ რამე აბრეშუმეულობა; ორი მაიწორა ერთი აბრეშუმისა და ერთი ხაერდისა; ახალოხი ყანაუზისა ყოშებიანი ზედ მოვლებული ვერცხლის ორშაურიანებითა და ვერცხლისავე ღილებითა, ლაბადა დაბა-ხაერდისა; სამი ჯუნა თავზედ მოსახვევად; ორი ქალაღა, ერთი პირზედ ასაფარებლად და ერთი თავზედ შემოსახვევად; ლეჩაქი ყოჩბოინუზებით, ვერცხლის ქამარი, ილგა, ბეჭედი, სალტე და სხვა და სხვა.

გარდა ამისა სასიძო მოვალეა გაუგზავნოს ქალის მშობლებს ქორწილის გადასახდელად 15 ბაკანი ხორბალი და 15 ჩაფი ღვინო.

ერთის ან ორის კვირის წინად ქორწინებამდის ქალის მშობლებს აბარებენ სამამისო ფულს და მიაქვთ პატარძლისათვის ფარჩეულობა ტანისამოსის შესაკერად.

გათავდება ქორმუხობა და ყველანი ქორწილის ფაცი-ფუცში არიან. ქორწილამდის სამი დღის წინად შეუდგებიან პურის ცხობას და აკრავენ უმთავრესად ლავაშს. ლავაშის დამკვრელებს საჩუქრად აძლევენ წითელ თავ-შესახვევს, რომელიც პურის ცხობის გათავებამდის უნდა ეკრათ. ამავე დღეს ვაჟის ოჯახიდგან ჰგზავნიან ქალიანთსა შეპირებულ ხორბალს, ღვინოს და საკლავს.

ქორწილის წინა საღამოს საპატარძლოს სახლიდგან გზავნიან სამს კაცს---**მემზანაგეებს**, რომელთაგანაც ერთი მაჭანკალია და ორიც მახლობელი ნათესავი ქალისა, ბიძაშვილი ან სიძე. ესენი მიდიან ვაჟიანთსა, სადაც ამ დროსთვის შეკრებილნი არიან სასიძოს ზოგიერთნი ნათესავები და მთელს ღამეს მხიარულებაში, და დროს გატარებაში არიან. ვახშმობენ, უკრავენ ჩონგურს, გარმონს და ამრიგად ეთრად ათენებენ. ეს არის დასაწყისი ქორწილისა.

ზ. ედილი.

(შემდეგი იქნება)

სიმაზინჯე

დრამა 4 მოქმედებად. ნ. შუიკაშვილისა

მომქმედნი პირნი.

თომა ძნელაძე 55 წ., კანტელარიის მოხელ-
დარია, ამისი ცოლი 50 წლისა. | ლე.
სონა, კურსისტკა, 20 წლ.
შაქრო, 22 წ., საზღვ.-გარ. სწავლ. (მათი
გიორგი, 14 წ., გიმნაზ. სწავლ. (შვილები.
ილიკო მორბედი, 25 წ,, საშუალო ტეხ-
ნიკური სასწავლებელი აქვს დამთავრებუ-
ლი; ეხლა თავის პატარა სახელოს. აქვს.
მარო, მორბედის ცოლი, 20 წ.
ვასო მენაბდე, სტუდენტი, სონას საქრმო.
საბა დოლაბერიძე, 45 წ., მდიდარი კუ-
ზიანი კაცი.
დარეჯან, საბას და, 40 წლ., გასათხოვარი.
ფილიპე, 50 წ. | საბას
მზარეული, 30 წ. | მსახურნი.

მოქმედება I.

ლარიბულად მოწყობილი სასტუმრო ოთახი ძნელაძის სახლში. ძველებური მდივანი, წინ რგვალი მაგიდა ჯეჯიმის სუფრით გადაფარებული; მაგიდაზე ალბომი. პატარა ტახტი; ზედ ორი მუთაქა და ბალიში. ძველებურ ბალიშიანი სკამები. კედლებზედ წმინდანების სურათები. (ფარდა რომ აიხდება, სცენა ცარიელია. ვემორის გიორგი, 14 წ. გამხდარ-გამხდარი ბიჭი; ფორმის ძველე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ური ტანისამოსი—მოკლე, ტოტებ ჩამოძენძილი შალვარი, თავზე ბრუსიის ფორმის ქუდი გამნაზიის გერბით, ფეხსაცმელიც თითქმის დაგლეჯილი, მაგრამ ზონრებიანი და მაღალ ქუსლებზედ; წელზედ სრულებით ახალი ბრტყელი, ორ გოჯიანი ქამარი),

გიორგი. (ხელში კატლეტი უჭირავს და გიყივთ სთქვლეფს) იჰ, იჰ, რა გემრიელია! (კარებში გამოჩნდება გულ-მოსული დარია მკლავებ დაკაწრული, წინ-საფარით, ხელში ბრტყელი დანა უჭირავს)

დარია. მოიტა, გიორგი, თორემ შვილები არ დამეხოცება, არ ვიცი რას გიზამ!

გიორგ. (უურადღებას არ აქცევს) იჰ, იჰ, რა გემრიელია!.. ერთი კვირაა შემწვარი არ მიჭამია.

დარია. შე შეჩვენებულო, სათითაო ძლივს გამოვიყვანე... სადილად რაღა მოვიტანო?..

გიორგი. (თავისთვის) რა გემრიელი იყო!.. (თითებს შარვალზედ იწმენდს)

დარ. შეგაჩვენოს ღმერთმა, კარგი ადამიანი შენ არა ხარ! (გაბრუნება უნდა; ისევ მოტრიალდება) სადილზედ კატლეტს ხელი აღარ ახლო... შენი წილი შესჭამე?..

გორგი. კიდევაც გიახლებით... პირველი მე დავტაცებ ხელს!

დარ. სადილობისას იმ ოხერ გიმნაზიაში ჰგდებულიყავი!

გიორ. შეიტანეთ ფული და... (დაცინვით) ნახევარი დღე მოსვენებით იქნებით. (დიდსვით დაბოტებს და ვითომ ულვაშებს ისწორებს. ამოიდებს ჯიბიდან პაპიროზს და უკიდებს)

დარ. ეგ რაღაა!.. პაპიროზი?..

გიორ. არა... მაკარონია!.. (სწევს უშნოდ, მერე დედას მიუახლოვდება და შეაბოლებს)

დარ. (მწარედ) გმადლობ!

გიორ. (პაპიროზის კოლოფს უჩვენებს) მერე რა პაპიროზია! აი ზედ მარქსია გამოსახული!

დარ. (მწარედ) ეგ-ღა გაკლდა!.. შე შეჩვენებულო, ჩვენ პურისთვის არა გვყოფნის ფული და შენ პაპიროზს ეწევი?!. მაგისთვის გაჰყიდე წიგნები?!.

გიორ. ნუ გეშინიან, დედაჩემო, არც ისეთი ბედოვლათი ვარ—ჩემი მარქსი სამ კაპეიკადა ღირს! (ისევ კოლოფს უჩვენებს)

დარ. სხვა არა იყოს-რა, რო გაიგონ, გიმნაზიიდგან გამოგაგდებენ.

გიორ. ხა, ხა, ხა! დაგძინებია, დედა ჩემო, დაგძინებია! ხა, ხა, ხა!.. წაბრძანდა ის დრო დაგანქრა, ვითა ოცნება!.. ეხლა თავისუფლებაა, დედა ჩემო! მასწავლებლებს შიგ ცხვირში ვაბოლებთ, მაგრამ ისინი კეთილ-ნებობენ და ვეღარა ჰხედავენ!

დარ. შვილის ცემა არა მნატრებია აქამდის, მაგრამ, ნეტავი ღმერთმა ინებოს და ერთი დღეო დაბრუნოს წარსული დროება, რომ ჩაგაძრონ ეგ შალვარი და მაგავე პაპიროზით შენი „თავისუფლების“ შესაფერი დალმა დაგასონ, შე უტვინო მოქალაქევ, შენა!

გიორ. ხა, ხა, ხა!.. ფეოდალობის სუნი გიდის, დედა ჩემო!

დარ. ნეტა ახლა შენ სუნსაცა ჰგრძნობდე, დარდაკო პამპულავ! (ბრაზით კარებს მიაჯახებს და მიდის)

გიორ. (კარებიდგან უკან მიაძახებს) ბურჟუაზიული, ბურჟუაზიული!.. ხა, ხა, ხა! (გაბრონდუდება და დაბოტებს; სწევს და ტანისამოსს იწორებს—კეკლუცობს) ჩვენ კლასში ეხლა ჩემზედ განიერი ქამარი აღარავისა აქვს!. (შემოდის თომა გამხდარი, ცხოვრებისგან დაძაბუნებული, მიდეული კაცი: ბუნებით კეთილი, მაგრამ აუტანელი შრომისგან, გაჭირვებისგან და შვილებთან უთანხმოებით გაავნებული. ხელში კანტელარიის „Дѣло“ უჭირავს. გიორგი პაპიროზს აქრობს და გაქცევას უნდა)

თომა. პაპიროზის სუნი!., მოიცა, მოიცა! შენა სწევდი პაპიროზს? (თავ-ჩადუნული დგას) ან ეგ ქამარი ვინ მოგცა? კიდევ გაჰყიდე რამე? (უძლურად დაეშვება დივანზედ) რა გინდათ ჩემგან, შვილო?.. მომკალით და მომრჩით!.. რა დაგიშავეთ, თქვე წყეულებო?.! ვერა ხედავთ, თქვე შეჩვენებულნო, რომ კბილის ტკივილიც-კი გამიტანს. ისე ვარ დაძაბუნებული!, რა გეშველებათ მაშინ?. მაგ ქამრის ფასად ერთი შალვარი მოგივიდოდა! აბა ერთი შენ თავსაც შეხედე, შე კარიკატურავ, შე გარსაკლიანო კავალერო!.. მე სწავლის ფული ვერ შემიტანია—აი, ორი კვირა ქუჩა-ქუჩა დალაზღანდარობ,-შენ კი ფულს თავის დასამახინჯებლად ხარჯავ!

გიორგ. (ბუზღუნით) სონასთვის და შაქროსთვის ხომ გაქვთ, რომ პეტერბურგში და საზღვარ გარეთ უგზავნოთ!

თომა. მე აღარავისთვის აღარა მაქვს!.. გავწყდი წელში!.. თქვენი ტოლები თავს თითონ ირჩენენ... წადით თქვენც!..

გიორგი. მამის მოვალეობაა—შვილები გამოზარდოს!

თომა. (სიტყვა უშრება) თქვენ... შვილები-კი არა-პირუტყვები ხართ!. (შემოდიან ილიკო და მარო, ილიკო ახალგაზრდა, მხარ-ბეჭიანი უმწვიდია, ხორცით და სულით ჯან-სადი; მხიარული, მოცინარი. სახე ინტელიგენტისა აქვს, თუმცა ეხლა სახელოსნოდგან დაბრუნებული და აცვია ლურჯი ხალათი, ზემოდგან ბინჯაკი. მარო ახალგაზრდა, ჯან-სადი! და მხიარული; აცვია ევროპიულად. მაგრამ სადად! მათ ხორციელ-სულიერ სიმრთელეს ყველგან მზის შუქი და სითბოება შეაქვს.)

ილიკო. ااا! გამარჯობა, თომა!.. როგორ მოგიკითხოთ?.. დღეს რუსეთს და ევროპას ელით?. (ხელს ართმევს)

მარო. გამარჯობათ! (ხელს ართმევს)

ილიკო. (ორიდგან) გამარჯობა გიორგი! (მა-

567

რო მივა გიორგისთან და ხელს ართმევს) მაშ სტუდენტები მოგვივლენ? კეთილი, კეთილი!..

თომა. ეხლა, ჩემო ილიკო, აღარც მოსვლაა მათი საკეთილო. აღარც წასვლა!

ილიკო. არც ეგრე გაზვიადება ვარგა, ჩემო თომა!

თომა. გაფუჭდა დროება, გაფუჭდა! ხალხი რაღასაც წამოედო!..

ილიკო. ძველი თაობა ყოველთვის ახალ წესწყობილებას აძაგებს!. აბა რით გაფუჭდა?

თომა. აბა რა ვიცი!.. არც ისეთი ნასწავლი ვარ და არც დრო მაქვს მაგაზე ვიფიქრო!.. ვგრძნობ კი, რომ რაღაც დიდი სნეულება შეეპარა ხალხს.. ოჯახს!..

ილიკო. ერთ ძერას მივარდნილ ადგილას ბუდე ჰქონდა და შიგ ახლად გამოჩეკილი ბარტყები ესხდა. ერთხელ ამ ძერამ დაავლო კლანჭები ერთ ბარტყს, გაშალა ფრთები და ტრიალ-ტრიალით წავიდა მაღლა-მაღლა!.. მიდამოს თან-და-თან სივრცე ემატებოდა და მზის სხივს უჩვევ ბარტყს თვალები უჭრელდებოდა. ბუნების სიმშვენიერე მრავალ-ფერად იშლებოდა და ფართო სივრცეს თვალი ველარ სწვდებოდა!.. „კიდევ, კიდევ!..» ეხვეწებოდა ბარტყი: «ბოლომდის ვიხილო ეს სიმშვენიერე!- "საზღვარი არა აქვს, ჩემო, ჩემო პატარავ, გეყოფა!„ უპასუხა ძერამ და ისევ ტრიალ-ტრიალით დაეშვა ბუდისკენ. როცა ძერა სანადიროდ წავიდა, პატარა ბარტყი. აცოცდა ბუდის პირთან და მოისურვა მზისაკენ შენავარდება, მაგრამ სუსტმა ფრთებმა ვერ შეიმაგრეს ჰაერში და ბარტყი ძირს ქვებს ჩაენარცხა!.... (ბაუზა) ყველა უსაზღვრო ბედნიერებას ეპოტინება, ჩემო თომა, თავის ძალ-ღონეს ალევს უდროულად გაღვიძებულ სურვილებს და ამით არამც-თუ ისპობა მომავალს, არამედ აწმყოს შესაძლებელ კეთილდღეობასაცა იშხამავს!

თომა. (ბაუზის შემდეგ) არ ვიცი,.. არ ვიცი... ცუდად-კია საქმე და... (შემოდის დარია; საქმეს მორჩომილა)

ილიკო. ვახლავარ დარიას., მოგილოცავთ შვილების დაბრუნებას! (ილიკო და მარო ხელს ართმევენ)

დარია. აბა სად არიან... თვალები დამიწყდა!.

ილიკო. (სასოსა სინჯავს) ჩქარა მოვა მატარებელი მაშ ერთად მოდიან სონა და შაქრო?

დარია. შაქროს გერმანიიდგან პეტერბურგში შეუვლია და ეხლა ერთად მოემგზავრებიან.

ილიკო. ეგ-კი მეტი ხარჯი მოსვლია!

თომა. ვისა ჰკითხავენ, ილიკო!. დასეირნობენ...

დარია. (ხვეწნით) ორი წელიწადია. არ გვინახვანან.., დღეს მაინც საყვედურით ნუ დავხვდები, თომა!. ერთ დღეს მაინც გავიხაროთ მათი დაბრუნებით!,.

თომა. დალოცვილო, მე-კი არ მინდა გავმხიარულდე, მაგრამ ეს ოხერი შუბლი რომ არ იხსნება!.. (გიორგიზედ უჩვენებს) მარტო ამას შეუძლიანს მოუსპოს ათ მამას სიცოცხლის უნარი.

ილიკო. ეს ისევ ისე დადის?

თომა. მაშ რა ვუყო?. საიდგან მივცე სწავლისფული? საბას ვალი ისეც აუტანელ ტვირთად დამაწვა და კიდევ ხომ ვერა ვთხოვ!

ილიკო. მე საშინლად მიკვირს ამ კრიჟანგის ხელ-გაშლილობაც; შენ, თომავ, განსაკუთრებით კეთილის თვალით გიყურებს!

თომა. ბარემ გასალანძლია მაგ კეთილი თვალისთვის, მაგრამ რას იზამ?. დამონავებული ვყევარ (ილიკო გაკვირვებით შეჰყურებს ვერ გაუგია)

დარია. (ილიკოსკენ მიიწევს და საიდუმლოდ) როგორღაც ჩვენ სონას იმედი აქვს.. (ილიკოს და მაროს საშინელი სიცილი აუტუდებათ)

ილიკო. ხა, ხა, ხა,! სონასი?,. ხა, ხა, ხა,!., აი ეგ პირუტყვი ეგა!.. ეგ შეურაცხყოფაა!.

თომა ბარემაც მაგრამ, მაგრამ გაჭირებული კაცისთვის თავ-მოყვარეობა მეტი ბარგია,

ილიკო (დაფიქრებული) ეს ოხერი გაჭირება რამდენ, რამდენ დამცირებას ათმენინებს ადამიანს!

თომა სონასა და შაქროს რომ რუსეთში ვისტუმრებდი, ჩემმა უფროსმა, სამსახურის დროს ექვსი კაცის თანა-დასწრებით, სიბერისაგან გამოტვინებული მიძახა თვალთ დამიბნელდა და მთელი სხეული ამითრთოლდა... ცოტა კიდევ და საწერელს ვთხლეშდი თავწასულ ბრიყვ უფროსს, მაგრამ... გესმის?.. ცოტაოდენ ჯილდოსაც მოველოდი... (ბაუზა) ეს რომ ჩემმა შვილებმა გაიგეს ზიზღი გამომიცხადეს!. ხე, ხე, ხე!.. ბურჟუა მოხელისგან მეტ რა თავ-მოყვარეობას უნდა მოველოდეთო... ხე, ხე, ხე!.. მაგრამ მათმა ამპარტავნობამ მაინც არ იუკადრისა ის დამცირებით მიღებული ათი თუმანი, ჩაიდო ჯიბეში და ევროპისკენ გაქუსლა. ხე, ხე, ხე!.. (უჩვენებს გიორგიზედ) აბა თუ მაგ თავისუფალ მოქალაქესა ჰკითხე..

ილ. (მიუბრუნდება გიორგის) აბა, აბა!.. ბიჭოს!.. ხა, ხა, ხა.! ეხლა შევამჩნიე—ხა, ხა, ხა!.. (ხელს მოჭიდებს და წინ მიჰყავს) ეს რა გარსაკლი შემოგიჭერია! (ატრიალებს) ვა, ვა, როგორ უხდება, რამდენი გიმნაზიელი ქალი დაიტანჯება შენი სიყვარულით;.. (გიორგი გაუშვებს და უკან მიდის)

მარო. თავი დაანებე, ილიკო.

თომა. (წამოდგება) ე-ე-ხე-ხე!.. (გადის)

ილიკო. მეც საქმე მაქვს... სტუმრებს მერე ვნახავ. (წასვლას აპირებს) არ ვიცი, რომელს უფრო გიხარიანთ სონას მოსვლა-თქვენ, თუ მაროს? დარია!

დარია. (მაროს დედა-შვილურად მოეხვევა) დებივით შეზრდილნი არიან, გიმნაზიაშიაც ერთად იყვნენ... საკვირველი არ არის, ილიკო.

ილიკო. (ხუმრობით) ჩემმა მაროომ ცოტა ადრე სწავლას ზურგი შეაქცია... ოთხი კლასით დაკმა-

დარია. აღარავის უგონებს, ბ. საბა. ჩვენც აღარ შეგვიძლიან ამოდენა ხარჯი!.. რაც ისწავლა ისიც თქვენი წყალობით.

საბა. (ხუმრობით) რახან მაგრეა, ამას იქით ჩემი ქისა სონასთვის.. არა-სონას სწავლისთვის აღარ გაიხსნება... ხე, ხე, ხე!.. ერთი კარგი ქმარი და... ხე, ხე, ხე!..

მარო. (ცბიერად) საქმეც მაგაშია, ბ. საბა, რომ კარგი საქმრო იშვიათია!

საბა, ხე, ხე, ხე... რასაკვირველია, რასკვირველია!.. მაგრამ ნურც ჩვენ გამოუდგებით ძალიან დიდს. ხე, ხე, ხე!. ცოლ-ქმრობის საკითხი ძალიან გააზვიადეს... ცხოვრებას უფრო სადად უნდა შევხედოთ!. უნაკლო კაცი არ მოიპოვება!.,

დარია, რასაკვირველია.

მარო. ნაკლიც არის და ნაკლიც!.

საბა. ცოლ-ქმრობაში, მაგალითად, თქვენ რა ნაკლი უფრო მიგაჩნიათ შეუწყნარებლად?

მარო. ის ნაკლი, რომელიც ურთი-ერთ სიყვარულს უშლის.

საბა, ხე, ხე, ხე!.. ახალგაზრდა ბრძანდებით, მაგრამ ძალიან ფრთხილი ლაპარაკი გცოდნიათ!.. ხე, ხე. ხე!.. მაგალითად, გარეგნობაზედ რა შეხედულებისა ბრძანდებით?

მარო. ჩემის აზრით, გარეგნობას სიყვარულში პირველი ადგილი უჭირავს, თუმცა, რასაკვრელია, მარტო გარეგნობა საკმარისი არ არის.

საბა. ხე, ხე, ხე!.. მაშ თქვენს ქმარს რო ცხირი ცოტა მრუდე ჰქონოდა, არ შეირთავდით?..

მარო მასთვის არ დავიწუნებდი, მაგრამ რომ შუბლზე ჰქონოდა გამობმული, მაშინ-კი ველარ შევიყვარებდი, თუნდ, რომ სხვა ფრივ უნაკლო კაცი ყოფილიყო.

საბა. (ფითრდება, თავს იმაგრებს) ხე, ხე, ხე!.. მესმის... ხე, ხე, ხე.., (გამოდის თომა; საბას მოწიწებით თავს უკრავს და ხელს ართმევს)

საბა. ხე, ხე... კიდევ კარგი, თომა, ცხვირი სწორე გაქვს, თორემ დარია არ წამოგყვებოდა... ხე, ხე, ხე!...

დარია. (მაროს) წამოდი ბალკონიდგან გავიხედოთ, ხომ არ მოდიან, (გადიან)

თომა. ნეტავი არ იქნებოდა... იქნება კიდევ ადამიანსა ვმსგავსებოდი!.

საბა. არა, თომა, ცოლ-შვილიანობას ნუ ემდურები! ჩვენი სიღარიბის და გაჭირების მიზეზი ჩვენი გაუმაძღარობაა; ველარავის ველარ დაუკმაყოფილებია ეს მადა და ბედსა სწყევლიან.

თომა. მართალი ბრძანებაა, მართალი.

საბა. შენ შვილებს რომ ნაკლები მადა ჰქონდეთ, არც ეს აუტანელი ტანჯვა დაგატყდებოდათ.

თომა. ოღონდაც!. ბატონო, ეს რუსეთია, ეს ევროპა!.. საიდგან? აკი ვჭამთ კიდეც ერთმანეთს! გიორგის სწავლის ფასი ვერ შემიტანია და ლამის გადაგვასახლოს თითის ტოლა ბიჭმა!

საბა. მართლა, რამდენია შესატანი?

თომა. ბევრი არაფერი, მაგრამ ჩემთვის-კი...

საბა. მაინც?

თომა. ოთხი თუმანი,

საბა. (იდებს ფულს) აი შეიტანე.. ნუ მოაცდენ...

თომა. (სიხარულით ათრთოლდება, მაგრამ არ ართმევს) მაგდენი თქვენი შეწუხება,..

საბა. აიღე, აიღე!,. რა უყო გაჭირებული ხარ!..

თომა. (ეთაკვაზება მაგრამ ართმევს) არ ვიცი, როგორ გადავიხადო თქვენი მადლობა!..

საბა. (ხუმრობით) მადლობა იმათ გადამიხადონ ვისთვისაც სესხულობთ... ხე, ხე, ხე!..

თომა. (ხელს გაიქნევს) მაგათი იმედით!..

საბა. გიორგი, ვთქვათ, ჯერ პატარაა, მაგრამ... ხე, ხე, ხე.. სონას-კი ეხლა შეუძლიან.. ხე, ხე, ხე!.

თომა, (ხელებს გაშლის) თქვენი ქირა არა მქონდეს!.. აიღებს წიგნს ხელში და მთელი დღე თავს ითქვეფს!.. სად შეუძლიან საქმიანობა!..

საბა. არა, ფულით რასაკვირველია, არ შეუძლიან, მაგრამ...ხე, ხე, ხე... ცოტა რამ ყურადღება... მეგობრობაც კარგია ჩემისთანა... ხე, ხე ხე.. ობოლ-ოხრისთვის.. ხე, ხე!..

თომა. (თან-და-თან იკრუნჩხება) მაგას რათა ბრძანებთ!.

საბა. მაშ რა არის, თომა?.! თუ მე ჩქარა არავინ დამიმეგობრდა, ეშმაკი დაგვეპატრონება მეცა და ჩემს ქონებასაც!.. არა-ძნელი-კია ჩემისთანა მახინჯზედ ქალმა გული დაიბერტყოს, მაგრამ... ხე, ხე, ხე..

თომა. (დაბნეული) მაგას რათა ბრძანებთ!..

საბა. ეგრეა, თომავ, ეგრე!. ახალგაზდა ქალებს ჭკვა თვალებში აქვთ!. აგერ წელან მარომა სთქვა რომ ქმარს იმიტომ წავყევ, რომ ცხვირი სწორე აქვსო... ხე, ხე, ხე!.

თომა. ახალგაზრდები არიან...

საბა. (ეურთან მკაფიოდ) მშობლებიც იმიტომა ჰყავთ, რომ რჩევა მისცენ, თავიანთ გამოცდილებას დაუმორჩილონ!..

თომა. (ჩაფიქრებული, ადელვებული ფულს ხელში სრესს) იცი რა... ეს ფულები ტყუილად გამოგართვით.

საბ. როგორ?

თომ. ამ დღეებში მისაღები მაქვს... გმადლობთ!.. (ფულს აწვდის)

საბ. გქონდეთ... სხვა საჭიროებისთვის გამოგადგებათ!..

თომ. არა, ბ. საბა, გმადლობთ...

საბ. (ფითრდება) არ მესმის... თუ გაწყენინეთ...

თომ. (მოწიწებით) რასა ბრძანებთ... მე წყენა როგორ შემიძლიან... გმადლობთ! (აწვდის ფულს)

საბ, (ბრაზს იკავებს. ფულს ართმევს) რას იზამ!.. მე შველა მინდოდა და თქვენ... თავში მახლით!..

569
ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოფილდა...

დარია. ნეტავი, შენი სიცოცხლით, ჩემი სონაც ეგრე დარჩენილიყო დაროსავით ჯანმრთელი, დაბედნიერი ყოფილიყო!

ილიკო. (ხუმრობით) ბედნიერი!. (მაროს ცხვირზედ ქუდს გაუხახუნებს და მიდის) ნახვამდის!.. ნახვამდის!.. (გადის. გიორგიც უკან გაჰყვება)

მარო. (ალერსით) რომ იცოდეთ რა მოუთმენლად ველი სონას (დარია მოეხვევა და ჰკოცნის) ზაფხულს შემდეგ ხომ ისევ წავა?

დარია. ველარ ჩემო მარო.

მარო. არა მგონია, სონა დაგთანხმდეთ.

დარია. ალარ შეგვიძლიან, შვილო! თომა წელში გასწყდა... ადამიანს ალარა ჰგავს ჯაფისა და ფიქრებისაგან!.. ეგეც მეტის მეტი ახირება იქნება!.. გიორგი-კი ჩვენი შვილი არ არის?.! აი ისე დაყიალობს, რადგანაც ფული ვერ შეგვიტანია! (პაუზა) ესეც რომ არ იყოს, სონა რუსეთის ჰავას ვერ იტანს; ისეც სუსტი იყო და ეხლა ლამის სიჭლექე დაემართოს... რა ეშმაკად უნდა რაღაცა კურსები, თუ დასნეულდება!.. აი ეხლაც ნაავადმყოფარი ამდგარა და მოდის. (პაუზა) ეხ, ჩემო მარო, ნეტავი ისიც ნაკლები სწავლით დაკმაყოფილებულიყო და შენსავით ჯან-მრთელი. მხიარული, ბედნიერი ყოფილიყო

მარო. სწავლას ხომ უბედურება არ მოაქვს!.

დარია. მოაქვს, მოაქვს, შენმა გაზრდამ! არ გაბრიყვდები—ამას საზოგადოდ არ ვიტყვი, მაგრამ ესეთ გარემოებაში-კი, როგორიც სონას აქვს, სწორედ უბედურება მოაქვს!.. (პაუზა) სწავლობს. სწავლობს და რა გამოვიდა რა!. იქამდის მოუძლურდა, მოიხვარსლა, რომ სიცილის შნოც-კი დაჰკარგა! რა ეშმაკად უნდა ადამიანს დიდი სწავლა, თავ თავისავე ჭირის-უფლად გადაიქცევა! ეგრე არ არის მარო?.

მარო. (ჩაფიქრებული) მეც ბევრჯელ მიფიქრია სონაზე და, წარმოიდგინეთ. მაგავე დასკვნასთან მისულვარ!.. რაც უფრო მეტს სწავლობს, უფრო მეტად ეკარგება სიცოცხლე.. ბედნიერების შნო. ალარც მზის შუქი ახარებს, ალარც მწვანე ველ-მინდორი და მგონია, ცასაც რომ მიეწიოს, იქაც ვერ იგრძნობს ბედნიერებას!

დარია. (მწარედ) მართალია! (პაუზა)

მარო. მე ერთის იმედი-ღა მაქვს... თუ გამოაცოცხლებს, ისევ ის!..

დარია ნეტავი არ იქნება, შენი სიცოცხლით!.. (ღიმილით და საიდუმლოდ) მგონი ეგეც ახლოა!..

მარო (გაკვირვებული) როგორ?

დარია. ვასო მენაბდე რომ არის... ხომ იცნობ?

მარო. როგორ არა.

დარია. (სიამოვნებით) მგონი რაღაც, ამბავია მათ შორის.,.

მარო (გახარებული) მართლა?. ჩინებული ყმაწვილი კაცია და მერე საშინლად მიხარიან:.. ის ეშმაკი რო არაფერსა მწერს!..

დარია. მეც მარტო ამ ბოლო დროს ისე:. გაკვრით მატყობინებდა.

მარო. ნეტავი, ნეტავი!,. ის-კი არ მოდის?

დარია. ის ცოტათი შეფერხებულა პეტერბურგში.... რამდენიმე დღის შემდეგ ისიც ჩამოვა.

მარო. (ხუმრობით) ხა, ხ, ხა!. საბა?

დარია. თვალი-კი დაუდგეს!

მარო. (ხუმრობით) მდიდარია!

დარია. ოხრად დაურჩეს!. ცხრა ქალი რომ მყვანდეს და შიმშილით მეხოცებოდნენ, ერთს არ მივცემ!

მარო. (წამოდგება და სიამოვნებით ხელებს ისრეს) მობრძანდით, მობრძანდით, ქალბატონო!.. ხა, ხა, ხა!.. რა სასაცილოა!:. იცით, დარია, ამ ორი წლის წინად სონა პლატონიური სიყვარულის მოტრფიალე იყო... თავის დღეში იმ პირობით არ გავთხოვდები, რომ ქმრის ხელი შემეხოსო!.. ხა, ხა, ხა!. ორსული ქალი ზიზღსა მგვრისო, თავის დღეში ჩემს სიყრვარულს მაგისთანა პირუტყვული გრძნობით არ შევლახავო! ხა, ხა, ხა!

დარ. სულელი.

მარო. მე ვუპასუხე—მოიცა, ვინმე შეგიყვარდეს და მაგაზედ მაშინ ვილაპარაკოთ მეთქი!

მარო.(შემოდის საბა. მაღალი, კუზიანი, საზიზღარი; მაიმუნივით გძელი ტლანქი მკლავები. სქელი ბარძაყები, პატარა თავი. ვიწრო, უცქერული თვალები, სიფერიფანა ცხვირი, განიერი პირის ნაპობი, სქელი ღაშები, ჩაშავებული კბილები, სქელი ნიკაპი. ყვავილისაგან დაჯენჯილი, ჟანგის ფერი სახე და აქა-იქ ნაგლეჯ-ნაგლეჯი ჭაღარა შერთული წვერ-ულვაში. მდიდარი, დვარძლიანი, სასტიკი, ადამიანის მტერი; თითონაც ბევრი დამცირება გამოუვლია, მეტადრე ქალებისაგან და სძულს ადამიანი. სხვისი ტანჯვა მას გულსა ჰფხანს; ხშირად ფითრდება და ჯავრ-მოსული საზარელია, მხეცი, სატანა... ევროპიულად აცვია. ხელში თაიგული უჭირავს)

მარო. (ჩუმად დარიას) სონას პლატონიც მოვიდა.

დარია. (მოწიწებით მიეგებება) ბ. საბა!.

საბა. ხე, ხე, ხე!.. სტუმრებს ელით.. აი მეც მინდა განათლებულ სტუმრებს ზრდილობიანად დავხდე... ხე, ხე, ხე! (თაიგულზე უჩვენებს)

დარია. თქვენი ყურადღების ღირსნი არ არიან.

საბა. გამარჯობათ! (ხელს ართმევს ორთავეს) ვნახოთ, რას ჩამოგვიტანს პეტერბურგიდგან.

დარია. ნეტა თითონ იყოს კარგად და ჩვენ არა გვინდა-რა... დაბრძანდით.

საბა. (ყველანი სხდებიან) განა ვერ არის კარგათ?

დარია. ვერ იტანს პეტერბურგის ჰავას.,. უქეიფობს.

საბა. ეეხ! გამოცდილი ხალხისა ალარა სჯერათ-რა.. რამდერჯერ მიუქვამს თომასთვის—კაცო, დაიბარე, ჩამოიყვანე, ეყო ამდენი სწავლა მეთქი.

თომ. რასა ბრძანებთ.., მე ისე ვარ თქვენგან... დავალებული, რომ განა შემიძლიან უპატიურად მოგექცეთ?!.

(აჩქარებით შემოდის დარეჯან. მაღალ-მაღალი, გამხმარი; დაღმეჩქილ პირზედ გაუთხოვრობის დაღი აზის. ძმასავით სძულს ადამიანი, ლამაზი ქალები-კი განსაკუთრებით. ეშმაკივით ხითხითებს, გველივით სისინებს)

დარეჯან. მატარებელი მოვიდა... საცაა თქვენი სტუმრებიც გაჩნდებიან... გამარჯობათ!..

თომ. (მოწიწებით ხელს ართმევს. დაფაცურდება.) მაშ მოვიდა?.. შევატყობინო... (გადის დარიასთან)

დარეჯან.ოხ, რომეო, თაიგულიც მოამზადე?!. ხი, ხი, ხი!.. (საბა მიბრუნებული დგას და პასუხს არ აძლევს) მგონი, შენ გუნებაზე ვერა ხარ! (მიუახლოვდება და ხელს მოჰკიდებს)

საბ. (ბრაზით) ეს სულ შენი მეტიჩრობაა!.. ჩემისთანა მახინჯისთვის ქალის კარი დაკეტილია!

დარეჯან. ტე, ტე, ტე!.. აპილპილებულა ჩემი ბატონი-ძმა!.. მოითმინე, მოითმინე!.. სუნითა ვგრძნობ, რომ... (შემოდიან დარია და მარო) აა, ვახლავარ დარიას!.. (ორთავეს ხელს ართმევს) მომილოცავს, მომილოცავს!.. საცაა მოვლენ...

დარ. დიახ, ეტლები უკვე მოდიან სადგურიდგან... ისე მოუთმენლად... (ფანჯარაში გადაეყუდება) არა სჩანან... უკაცრავად, თქვენი ჭირიმე... დაბრძანდით... სიხარულმა გამომაყრუა!..

დარეჯან. ნუ სწუხართ!.. ჩვენ აქ მეტნი ვართ, აგრამ აი საბამ—წავიდეთ და წავიდეთო! სონა თითქმის ჩვენ ხელშია გაზრდილიო!..

დარ. ჩვენთვის დიდი პატივია მაგისთანა ყურადღება...

(შემოდის აჩქარებით თომა)

თომ. მგონი მოდიან...

დარ. მართლა?

(შემორბის გიორგი)

გიორგ. მოვიდნენ! (ისევ უკან გავარდება)

(დარია დაფაცურდება: ჯერ მარჯვნივ წავა, მერე უცებ მოტრიალდება და შუა კარებიდგან გავა. მაროც უკან გაჰყვება)

თომა. (სიცოცხლე დაეტყობა რამდენადაც-კი ეს შეუძლიან მის მოღლილ სახეს) პა, პა, პა, დაფაცურდნენ... ვინ იცის, თუ ვინ მოდიან!.!..

(მოისმის შეხვედრის ჟივილ-ხივილი, კოცნა. დარიას ხმა: „სონა, გენაცვალე!“ „შაქრო, შვილო„)

დარეჯან. (საბას ჩუმათ) ცხვირი ნუ ჩამოგიშვია (კარებში გამოჩნდება სონა! უკან მოსდევს მარო, მერე შაქრო, დარია! სულ უკან მოსდევთ გიორგი ბარგით. სონა შუა ტანის, ლამაზი ქალია, მაგრამ ფერ-მიხდილი, მოღლილი სახე, უსიცოცხლო. კარებში შედგება დასცქერდება იქ მყოფთ! მერე მამას მიუახლოვდება და აკოცებს-ოდნავ იღიმება! მიუბრუნდება საბას და დარეჯანს უყურებს, ასე გონია, ვერა სცნობსო. შაქროს დაღლილობისა და აპატიის მეტი არა ეტყობარა სახეზედ! მამა ოდნავ აკოცებს, უგულოდ.)

დარეჯანი. (მიუახლოვდება სონას და ხელს მოჰკიდებს) ველარ გვიცან, სონა? (ჰკოცნის)

საბა. (თაიგულს მიართმევს) პაწაწა სონას ძველი მეგობრისგან.

დარეჯან. (შაქროს კეკლუცობით) დავაქკაცებულხართ.. (ხელს ართმევს), შაქრო უგულოდ თითქმის უზრდელად სალამს აძლევს დარეჯანს და საბას, მერე უკან კუთხისკენ მიდგება

გიორგი. დედი, ეს ბარგი სად გავიტანო?

დარია. მანდ, კუთხის ოთახში შეიტანე, შვილო. (გიორგი გარბის).

დარეჯან. აბა ეხლაკი წავიდეთ საბა.

დარია. რას მიეშურებით?

დარეჯან. შეხვედრისთვის კმარა... ეხლა თქვენ საკუთრებათ დაგიტოვებთ ჯერ... ნახვამდის (სონას ეხვევა) უფრო გალამაზებულხარ. ხი. ხი. ხი.

საბა. (ხელს ართმევს სონას) ჩემი დის სიტყვები ცოტათი მაინც რომ საიჭვიანო იყვნენ, მეც გავიმეორებდი. ხე, ხე, ხე. (ყველას თავს უკრავენ და გადიან. თომა და დარია გააცილებენ. სონა გაშტერებული თვალს გააყოლებს)

მარო. (სონას წელზედ ხელს მოხვევს) ბაიყუშები წავიდნენ... მოდი დაჯექ... მაიცა ერთი კარგათ გაგშინჯო... (ახლო ათვალიერებს და ჰკოცნის... თომა და დარიაც ბრუნდებიან. დარია სონას მეორე მხრიდგან მიუჯდება თომა ცალკე ჯდება. შაქრო კუთხეში გაჩუმებული ზის.)

დარია. (ეხვევა სონას) ჩემო გოგო... ეხლა რო გორა ხარ?

სონა ეხლა არა-მიჭირსა... მხოლოდ დავიღალე.

დარია. (შაქროსკენ მიაშურებს) შენა, ჩემო ბიჭო? (ეხვევა, ჰკოცნის) რამ დაგაღონა ეგრე?

შაქრო. (ცივად) დაღლილი ვარ, დედი.

(გიორგი შემოვარდება, სონას უკანიდან მოეხვევა და აკოცნის. სონა ალერსით თავზედ ხელს გადუსვამს. თომა დაღონებული ზის და ჩუმად ათვალიერებს შვილებს. მერე ამოიოხრებს, თავს გაიქნევს და დინჯად გავა)

მარო. ეხლა მეც წავალ.,. დაისვენეთ.. იმდენი მაქვს სათქმელი, იმდენი.. (ჰკოცნის სონას ემშვიდობება ელას და გადის) (შაქროს) წადი შვილო გასუფთავდი იქნებ პირს დაიბან,

დარია. (სონას) შენა, ჩემო კარგო? (ეხვევა ჰკოცნის) მოიხადე შლიაპა. ვისადილოთ.

სონა. კარგი დედი.

დარია. (წამოდგება) ეხლავ მოვამზადებ. (კიდევ აკოცებს და გავა)

სონა. (იხდის შლიაპას. დაღონებული, სევდიანი თვალებით ათვალიერებს ოთახს) ისევ აქ.. სამუდამოდ... (ტუჩები უთრთის და ტირილს ვერ იმაგრებს. დაეშვება ხელებზე და ქვითინებს (შემოდის დარია.)

დარია. აბა, ჩემო გოგონი.. ეს რა არის? სტირი? (მოეხვევა)

სონა. წამოდგება ცრემლებს იშრობს, თავს ძალას

ატანს და იღიმება) ძალიან დაღლილი ვარ, დედი... (ეხვევა) წავიდეთ... ვისადილოთ., (მიდიან ხტომით შემორბის გიორგი)

დარია. (სონას წინ გაუშვებს და გიორგის მიუბრუნდება მეეხვევა ალერსით და ჩუმად) შენი ჭირიმე გიორგი, კატლეტს ნუღარ აიღებ... იქნება სონას და შაქროს არ ეყოთ...

გიორგი- (მოეხვევა დედას) არა, ავიღებ, დედი- (ჰკოცნის. მიდიან)

ნ. შუიკაშვილი.

ფ ა რ დ ა.

ეროვნული მოძრაობა.

საინტერესო ჟამია. მთელი ევროპის ყურადღება ეხ, და მიქცეულია სამი კუთხისკენ, კაცობრიობის ოკეანე თითქმის დამშვიდებული და მიწყნარებული, ამ სამ კუთხეში სდუღს და თითქმის ტალღებსაც ისვრის. ეს კუთხეები არიან:

ფინლანდია,
ალბანია და
კუნძული კრიტე.

*
* *

ფინლანდიაზე უწინ მქონდა ლაპარაკი. ეხლა სიტყვის გაჭიანურება არ მინდა. ყველამ იცის, რომ ფინლანდია რუსეთის ერთი ნაწილია, მაგრამ ისეთი ნაწილი, რომელსაც აქვს თავისი ავტონომიური წესწყობილება. ფინლანდიას აქვს თავისი კანონმდებელი საკრებულო **სეიმი**, და თავისი სამინისტრო **სენატი**. ეს იმას ნიშნავს, რომ კანონმდებლობა და მართველობა ფინლანდიაში რუსეთზე დამოკიდებული არ არის, არც რუსეთის სამინისტროს, არც სენატს, არც სახელმწიფო სათათბიროს და საბჭოს—არა აქვსთ არავითარი კავშირი და ზედგავლენა ფინლანდიაზე. მხოლოდ საერთაშორისო წარმომადგენლობა და სამხედრო მართველობა არის რუსეთის ხელში და ამ უფლებრივ დამოკიდებულებაში იხატება რუსეთის სუვერენიტეტი.

ეხლა საქმე სხვაფერ მიდის. იმ პარტიას, რომელიც განაგებს ეხლა რუსეთის სვე-ბედს, მოსვენებას არ აძლევს ეს ავტონომია, ეს თავისუფალი განვითარება ფინლანდიისა. უკვე შეიმუშავეს კანონპროექტი და სახელმწიფო სათათბიროში შეიტანეს კიდეც. ამ კანონპროექტის ძალით უნდათ მოსპონ ფინლანდიის ავტონომია. თუ ეს კანონი მიღებული და დამტკიცებული იქმნა, მაშინ ფინლანდია უნდა დაემორჩილოს რუსეთის დაწესებულებათა გამგეობას და კანონმდებლობას. მაშინ ფინლანდია, რომელიც ამ უკანასკნელ საუკუნის განმავლობაში თავისუფალი ქვეყანა იყო, უნდა გახდეს ისეთივე დამონებული და დამორჩილებული ნაწილი რუსეთისა, როგორიც არის პოლონეთი ან საქართველო.

ამ რეაქციონულმა მოძრაობამ რუსეთში დიდი ალიაქოთი ასტეხა, მოქალაქე რუსს ჰსცხვენია, რომ მისი ქვეყნის პოლიტიკური განახლება იწყება მშვიდობიანის ერის თავისუფლების განადგურებით. სახელმწიფო სათათბიროში, — ეჭვი არ არის, დიდი კამათი ასტყდება ამ კანონპროექტის განხილვის დროს და დიდი განხეთქილებაც მოხდება.

აქ გასაკვირიც არაფერია. წადმოიდგინეთ, რუსეთში კი არა, საზღვარ-გარედაც მთელს ევროპაში დიდი მოძრაობა ატყდა ფინლანდიის სასარგებლოდ. ჯერ მეცნიერებმა აიმაღლეს ხმა ისტორიულ და იურიდიული საბუთებით ხელში. მათ გამოაცხადეს, რომ ეს გამოლაშქრება რუსეთისა ფინლანდიის ავტონომიის წინააღმდეგ მოკლებულია ყოველს იურიდიულ საფუძველს და სამართლიანობას. მერე ინგლისის დიდი ქალაქების სავაჭრო პალატებმა, ბელგიის და ინგლისის პარლამენტებმა, საფრანგეთის მოწინავე პოლიტიკურ მოღვაწეებმა—და რა ვიცი, ვინ კიდე—ერთის ამბით წარმოსთქვეს იგივე აზრი და კრძალვით და მორიდებით გამოუგზავნეს რუსეთის სათათბიროს „შეგობრული მოხსენებაც“—არ ჩაიდინოთ ეს სამარცხვინო საქმე. და არ გაანადგუროთ ფინლანდიის ავტონომიაო».

ფინლანდიის მდგომარეობა და ის ბრძოლა, რომელსაც განიცდის ეს განათლებული მხარე, მეტად საინტერესოა უფრო ჩვენთვის — ქართველებისთვის. თუ მართლა ფინლანდიის თავისუფლებას მოუღეს ბოლო, თუ ჩაშალეს მისი ავტონომიური წესწყობილება,—საქართველოს რაღა იმედი უნდა ჰქონდეს ახლო მომავალში?!

*
* *

*) გადავიდეთ ოსმალეთზე. როგორც მოგახსენეთ, განათლებულ ქვეყნების ყურადღება მიქცეულია ალბანიასა და კრიტესაკენ, ალბანია აჯანყებულია: მთელი ერი თავით-ფეხამდე შეიარაღებული ფეხზე წამოდგა და ბრძოლა გამოუცხადა ოსმალეთს. —უფრო თავისებურად მოიქცა კუნძული კრიტე, ხალხის წარმომადგენლებმა პირდაპირ შეჰფიცეს ერთგულებაზე საბერძნეთის მეფეს.

ორივე ეს მოვლენა ითხოვს პოლიტიკურ დაფასებას. —დაფასების დროს სახეში უნდა გვქონდეს ყოველთვის ჩვენი ქვეყნის და ჩვენი ხალხის სარგებლობა. ჩვენთვის, ემი აზრით, დიდს უბედურებას წარმოადგენს ოსმალეთის დაცემა, მისი დამცირება და დაქუცმაცება. ჩვენთვის უფრო სასარგებლოა, თუ რუსეთი გარშემორტყმული იქნება უფრო ძლიერი და განათლებული სახელმწიფოებით, მაშინ რუსეთიც იძულებული იქნება დაადგეს განვითარების გზას.,,

ამიტომ ალბანიის აჯანყება და კრიტეს შეუფერებელი ღალატი არ არის ჩვენი სიმპატიის ღირსი. ალბანელებმა არც კი იციან კარგად—რა უნდათ და რას ითხოვენ. მაშინ როდესაც ოსმალეთში მყარდება თავისუფლება და თანასწორობა, როდესაც მისი თავგანწირული ახალთაობა ცდილობს დაიხსნას განსაცდელისაგან სამშობლო და განამტკიცოს მისი დანჯღრეული მთლიანობა, სწორედ ამ დროს ალბანელებს ვერა გამოუგონიათ რა, გარდა აჯანყებისა და მერე რისთვის? ალლაჰ-ბილურ! თვითონ არ იციან

---

*) რედაქცია სრულიად წინააღმდეგი აზრისაა ამ საკითხის შესახებ. და კიდეც ეცდება მოკლე დროში თავისი აზრი გამოსთქვას.

რისთვის. რაღაც გადასახადია და ის გადასახადი უნდა მოისპოს. აი ეგ არის მთელი მათი მოთხოვნილება!.. მართალია, ბ. ბოლქტინაცი და ზოგიერთი სხვა წინამძღოლი ალბანელების მოძრაობისა გაიძახიან, რომ მათ უნდათ თავისუფლება და თავისუფლებისთვის ვიბრძვითო, მაგრამ ეს ხმა ჯერ რომ არ ეთანხმება ეხლანდელ პოლიტიკურ მისწრაფებას მთელი ოსმალეთისას, და მეორედ —არა მტკიცდება თვით აჯანყებულ ხალხის სიტყვით. თუ თავისუფლება უნდად ალბანელებს, განა ეხლანდელი ოსმალეთის მთავრობა დაუშლის ხეირიანად ცხოვრების მოწყობას? რომელი სკოლა დახურა ეხლანდელმა მართებლობამ, რომელ ენაზე ლაპარაკი და წერა აღუკრძალა, რომელი გაზეთი მოსპო?! რა ჩაიდინა ისეთი ახალგაზდა თურქების მოღვაწეობაზე, რომ იგი თავისუფლების მტრად იქმნას გამოცხადებული?! არა, სულ ეს ტყუილია და ალბანური მოძრაობა მოკლებულია იდეურ შინაარსსა.—მერე რა კარგად იქცევა ოსმალეთის სამხედრო მინისტრი შევკეთ-ფაშა. მის მაგივრად, რომ ზარბაზანი დაუშინოს ამ უგუნურ ან ავსტრიის ფულით შესყიდულ ბრბოს, იგი დიდის მეგობრობით და სიყვარულით ცდილობს მორიგება და მშვიდობიანობა ჩამოაგდოს. ამ მოლაპარაკებაში (ჯერ მაინც) აჯანყებულ ხალხის მხრივ არა ისმის-რა არც თავისუფლებაზე, არც რაიმე პოლიტიკურ დამოუკიდებლობაზე. მორიგების და დამშვიდების საქმე ჯერ-ჯერობით კარგად მიდის და შეიძლება ხალხმა იარაღი დაჰყაროს და თავის ნებით დაემორჩილოს მართებლობას. მაშ რა იყო და რისთვის ასტეხეს ეს დავიდარაბა? თუ საქმე მორიგებით გათავდებოდა, რა საჭირო იყო ომის გამოცხადება ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ და სწორედ მაშინ როცა ეს იმპერია დიდს გაჭირვებას განიცდის თავის, საერთაშორისო მდგომარეობაში?!

რაც შეეხება კუნძულ კრიტოსს, იმაზე შემდეგ მოვილაპარაკოთ. მისი მაგალითი უფლებრივი თვალსაზრისით უფრო რთულია და საინტერესო.

გ. გვაზავა.

ოლოლები*)

ეტიუდი

(ქართული თქმულობა)

(გაგრძელება)

X.

თავს დაათენდა ღვთისოს. საცოდავს მისძინებოდა და მერე ისე მაგრად, რომ გათენებაც ველარ გაიგო...

კუტას კი მთელ ღამეს თვალიც არ მოუხუჭავს .. რაკი ღვთისო შინ არ შემოდიოდა ამოდენა ხანს, მიჰხვდა, რომ ჩაეძინა. კუტა წამოდგა. ლოგინ ქვეშ ჩინჩხვარი შეუმატა და კრუსუნი შესწყვიტა. სულ-მწარედ გათენებას ელოდა კუტა.

გამოეღვიძა თუ არა ღვთისოს, გულმა წაუფურა. „ნუ თუ დავიღუპეო!“ გაიფიქრა. მაშინვე ზე წამოიჭრა და შინ შევარდა. კუტა ამას ელოდა. იმან კრუტუნი მორთო და ააჭახუნა ჩინჩხვარი.

— შე ჩემი ცოდვით სავსევ, სად იყავ აქნობამდის?!. წყლის მომწვდელიც არავინ იყო!!. ღვთისოს შერცხვა, მაგრამ სირცხვილს ვინ იჩივლებდა, მაშინ, როდესაც კუტას ხმა გაიგონა: „მადლობა ღმერთს, კიდევ გავიგონე შენი ხმაო“!.. წამოიძახა და მიუახლოვდა. ღვთისოს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, რომ კუტა ცოცხალი დაუხვდა.

— ვაი... ვაი... ეეჰ!.. წაიკვნესა კუტამ და გადატრიალდა.

ახმაურდა ჩინხვარი.

— ძვლები მემტვრევა!..

— ეხლა გათენდა, ჩემო ყველავ, მივდგებ-მოვდგები, აგებ წამალი გამოიძებნოს და გელხინოს:— ღვთისო,—ვაჰ-ვაჰით დაიწყო კუტამ,—ვერა წამალი მე არ მიშველის...—მაგას რად უნობ, ჩემო ყველავ, ღმერთი—არა, არა, ღვთისო, შე რო გეძინა, აქ ვილაც ხოხუცი შემოვიდა. გრძელ წვერა და გრძელ თმიანი.

— მერე, მერე??. შეშინებულის ხმით შეეკითხა ღვთისო.

— ვერა წამალი ვერ მიშველის... განაგრძო იმავე კილოთი კუტამ...თუ აიმ ხბოს ცოცხალს გულ-ღვიძლს ამოაცლევინებ და შეჰჭამ, მხოლოდ მაშინ განიკურნებიო.., ესა სთქვა და გაქრა... შევშინდი,.. ვაი... ვაი...

— დაილოცოს შენი სამართალი ღმერთო!.. წაილუღ-ლუღა ნერწყვ-გამშრალმა ღვთისომ.

წამ სიჩუმე ჩამოვარდა. კუტა დააშტერდა ღვთისოს, რომელიც თავ-ჩაქინდრული იდგა.

ღვთისომ აჰსწია თავი მაღლა, ცრემლიანი თვალები კუტას მიაპყრო და წამოიკვნესა:

— ხომ ყელები დავჭერი ჩემ ოლოლებს?!.

— დედის სიკვდილი არად ჩააგდეს და ხბოს დაკარგვას ჩააგდებენ-ღა რად??! ოი... ვაი!..

ამ დროს ბავშვებს გამოეღვიძათ და ხბოც წამოდგა...

კუტამ ტუჩებზე თითი მიიდო და ოდნავ წაისისინა, რითაც ღვთისოს ანიშნა, გაჩუმებულიყო. —უყურე, ჩიტო, ზულგი ლოგოლ მოილკალა!.. მიჰმართა ბელურამ ჩიტოს და თითით ხბოზე ანიშნა...

— აგელ, ეხლა ლოგოლ ჩაიზნიქა ზულგი!.. წამოიძახა ჩიტომ.

ხბოს გაზმორებამ აღტაცებაში მოიყვანა დაძმა, და უდარდელად გაიკასკასეს...

ორივენი ჩაეკრნენ ხბოს, კოცნა დაუწყეს. ხბო წამს მიენდო. იმანაც ორივეს ალერსით ლოყაზედ ბზმუილით ენა აუსვა და... უეცრივ ხელიდგან გაუსხლტათ... ფუნთრუკაობით გარეთ გავარდა.

კიდევ სიცილი უზადო, შეუხამებელი და-ძმისა:

— ლა მასხალაა ჩვენი ფუჩინა?!. თითქმის ორივემ ერთად წამოიძახა სიცილით...

XI

გულის ფანცქალით მიუახლოვდა ხბოს ღვთისო. მართლაც, როგორც კუტამ უთხრა შუადღისას ბავშვებს ტყეში მისძინებიყოთ. ხბო კი აქეთ ველზე გამოსულიყო და ჰსძოვდა.

ღვთისომ გაიხედა ბავშვებისკენ და...—ეს რაა არის?!. გული საშინლად აუტოკდა, თვალები მოიშვენიტა და ისევ ბავშვებისკენ გაიხედა...

მაგრამ იქ ბავშვების მეტი არავინ იყო. ტკბილად ეძინათ...

— უთუოდ მომეჩვენა... თითქოს ფათა თავით ედგათ!.. ჰმ!.! ეჰ, რაც იქნება, იყოს!.. წამოიძახა ღვთისომ და ხბო სახლისკენ გამოაქანა...

XII.

... ღმერთის წინ დაემხო ტანჯული სული ჩიტოსა და ბელურის დედისა:

— ღმერთო, გავედრებ ჩემ ჩიტოსა და ბელურას. ცოცხლებს ბავშვური გულ-ღვიძლი ამოჰგლიჯე და ჩემ ფეხს შეაჭამეს. რაღა დაჰრჩებოდათ სასიხარულო იმ სოფლად ბედ-შავებს.., ვიღა ანუგეშებს ჩემს მეტი...

ღმერთი უსმენდა.

— რაო, გინდა მკვდრეთით აღსდგე?!, არასდროს... ეს არ ყოფილა არარაოდეს...

— არა, უფალო, მე მხოლოდ გვედრებ, დროგამოშვებით ვეჩვენო ხოლმე და მოსალოდნელი განსაცდელი, ვიდრე ყრმები არიან, თავს ავაცდინო...

— იყოს შენი ნება. მხოლოდ ერიდე შურისძიებას შენი ფეხის წინააღმდეგ. დეე, ცოცხლებმა მოინელონ თავიანთი დაწაშაული!..

— ოჰ, უფალო, გმადლობ!.. აღტაცებით ეამბორა ტანჯული სული და მყის ქვეყნისკენ უხილავად გამოსრიალდა...

XIII

გამოელვიძათ თუ არა ბავშვებს, მაშინვე აქედიქით ეცნენ. ხბოს ეძედნენ: „ფუჩინო, ფუჩინო!“ უკოდნენ თითქმის ტირილით, მაგრამ სამაგიერო პასუხი არსაიდან მოისმოდა. სულ ჩაიფუქნენ საცოდავები. წამს გაიფიქრეს: „იქნებ შინ წავიდაო“, და მაშინვე ცოტა იმედ მოსულები სახლისკენ გამოქანდნენ. ქაქანით შორიდან კივილი მორთეს: „კუტავ, კუტავ, ფუჩინა ხომ ალ მოსულა!.. კარებში კუტა მოეგება და დაუტატანა:

„აი, თქვე ძაღლის დაყრილებო, თქვენა!.. ერთი ხბო გებარათ და ისაც დაჰკარგეთ?!. სანამ არ იპოვით ხბოს, შინ აღარ დაჰბრუნდეთ!..

პატარეებს წელი მოსწყდათ. გატრიალდნენ უკან და მოთქმით დაიწყეს ტირილი.

ოლოლების ტირილი ჯერ არავის გაეგონა, და ამისთვის, ვინც კი შეჰხვდა, ყველა გაკვირვებით ეკითხებოდა: „რათა სტირით ოლოლებო!!“

— ხბო ხომ ალ გინახავთ?!. ეკითხებოდნენ სამაგიეროდ გულ ამომჯდარი ოლოლები გამვლელთ და ტყისკენ მიეშურებოდნენ.

ღვთისომ სახლში ისე მოიყვანა ხბო, რომ არავის უნახავს, და მხოლოდ ანუგებდნენ: „ბედშავნო, მაგისთვის რა გატირებთ, მანდვე იქნება!..“

ტანჯული დედის სული სწორედ ამ დროს ჩამოეშო ტყის პირას, და შემოესმა ოლოლების სასოწარკვეთილი მოთქმა. სულ დაიწო, სულ საბრალო სული!.. სცადა, რაც პირველად აზრი მოუვიდა ბავშვების დასამშვიდებლად. ტყის პირად ხბოდ მოეჩვენა.

ბავშვებმა დაინახეს, და სწრაფად ტირილი სიხარულად შეეცვალათ. გაიქცნენ ხბოსკენ იმათ მისვლამდის ხბო ტყეში შევიდა და გაქრა. ბავშვები შეცვივდნენ ტყეში. სადამდისაც იმათი თვალი გასჭრიდა ტყეში, სწორედ იქ კიდევ მოეჩვენა ხბოდ. ბავშვები იქით გაქანდნენ და ხევის პირს წაადგნენ.

„ფუჩინ, სად გაჰლბიხალ, ლატომ გვემალები?!.“ წყენით მიჰმართეს ლანდს და...—ჩიტო, შენ ამ ნაპილს აჰყევ, მე კიდევ გაღმა გავალ... აგელ, აგელ, მოჩანს ჩვენი ფუჩინო?!. უთხრა ბელურამ და გაქანდა ლანდისკენ.

ჩიტო კი აჰყვა ზევით ხევის პირს. თან და თან დაბლა ჩადიოდა, რადგინაც ლანდი ცხადლივ ეჩვენებოდა. სიხარულით მიქანავდა იმისკენ. იმედი ჰქონდა ჩაეხვეოდა თავის ფუჩინოს...

შეუმჩნევლად შემოაღამდათ. უეცრივ იგრძნეს სიბნელე და ტანი აუცახ-ცახდათ. ჩიტო და ბელურა ერთად არ იყვნენ და ამან უფრო შეაძრწუნვა ორივე...

— გოგო, იპოვე?!. წამოიყვირა შეშინებულმა ჩიტომ...

— ვერაა!.. იმავე კილოთი უპასუხა ბელურამ ხევის მეორე მხრიდან...

— დაღამდა!..

— დაღამდა!..,

— ლა ვქნათ?!.

ჩქარა დაძმანი ერთმანეთს გადაეხვივნენ ქვევით ხევში და იქვე დაქანცულები მუხის ძირას მიწვნენ.

— წავიდეთ შინ!..

— კუტა?!.

— მგელი შეგვჭამს!.

— წივ-წივ!.. შემოესმათ მუხის ტოტიდან წივწივი...

— ჩვენც ლო ფლთები გვქონდეს, იქ შევჯდებოდით.

— ნეტავი ფლთები გვქონდეს!!!

ტანჯული სული თავს ედგათ და ნატვრის შესრულებას ღმერთს შეევედრა...

ღმერდმაც უსმინა და შეუმჩნევლად ბუმბულით შეიმოსნენ ჩიტო და ბელურა...

— ჩიტო!..

— ბელულ!..

— ფლთები მაქვს!.. მივფლინავ!

— მეც!..

შემოსხდნენ მუხის ტოტზე.

— ფუჩინო?!.

— მოვძებნოთ!..

— თუ ალ მოვძებნით, მგელი შესჭამს!..

შეარხიეს ფრთები. ჩიტომ გამოლმით დაუწყო ძებნა და ბელურამ კიდევ გალმით...

პირობა დასდეს, როცა ერთმანეთთან მისვლა მოუნდებოდათ ეყვირათ: „ჭიტა... ჭიტა!..“

ეძებდნენ მთელ ღამეს და ერთი-მეორეს მალიმალ ეკითხებოდნენ მწუხარებით: „იპოვე?!.“ პასუხი კი ერთი-მეორისგან გულ-დაწყვეტილი იყო: „ვერა!..“

XIV

კარგა შებინდდა. როცა ღვთისო შინ დაბრუნდა. მოიყვანა თუ არა ხბო და კუტას თვალ-წინ მკერდი გაუღადრა. მაშინვე გარედ ვავარდა. ვერ შეჰსძლო ეცქირნა კუტასთვის. თუ ის ჯერ ისევ მთრთოლარე გულს როგორ დასწვდა და კბილით გაგლიჯა, ვერც საცოდავად მფორთხავ ხბოს მზერა შეეძლო. ყელიც კი არ გამოჰჭრა, ისე მიანება თავი.. იქით კი არ წავიდა, საითკენაც ბავშვები იყვნენ. მეორე მხარეს. ძალიან ერიდებოდა იმათ ნახვას.

აი, ეხლაც გვიან დაბრუნდა იმ იმედით, რომ ბავშვებს უკვე ეძინებოდათ და იმათ ცრემლიან თვალებს არ ჰნახავდა. მართლაც ციცას უკვე ეძინა. კუტა კი ზეზე დაუხვდა. ის კერის პირას იჯდა. თხილის ტოტზე ხბოს ბარკალი წამოეცო და ცეცხლთან აშიშხინებდა.

ღვთისო თავჩაღუნული შევიდა სახლში. ხმის ამოუღებლივ გაემართა, კუტას ჯერ ისევ აულაგებელ, თუ ხელ-მეორედ გაშლილ ლოგინისკენ და უნდა მიგდებულიყო, რომ კუტა გამოელაპარაკა:

— კაცო, პური მაინც არ მოგშივდა, სად დაიკარგე?.. აი, ხბოს მწვადს გიმზადებ!..

ღვთისომ შეჰხედა კუტას, მაგრამ ამავე დროს ცალი თვალი ბავშვების მხარეს გადაავლო. ციცა იქ მიგდებულიყო. ოლოლებს კი თვალი ვერ მოჰკრა. ჩაღუნა თავი, მართლაც სიმშილი იგრძნო ამ მადიან მწვადის სუნზე და წაიბუტბუტა:

— მშიან და მაგრე?!. და მიეგდო ლოგინზე.

— ეხლავე შეიწვის!.. წამოიძახა კუტამ.

მაგრამ ღვთისოს ეს სიტყვები არ გაუგონია. სიმშილიც კი მიავიწყდა. მიეგდო თუ არა ლოგინზე, მაშინვე შემოესმა ლაწი-ლუწი, სწორედ ისეთი, როგორიც წუხელის და დილას კუტას ლოგინზე ტრიალის და „ვაჰ. ვაჰ...“ ძახილის დროს...

წამს ღვთისო გაშტერდა. მერე გადატრიალდა, და ისევ ის ლაწა-ლუწი შემოესმა. ისევ წამ შესდგა. გადმოტრიალდა კუტასკენ. კიდევ ის ხმაურობა,

კუტა მწვადის შეწვით გატაცებული სულ ვერ ამჩნევდა ტვთისოს მოძრაობას.

ღვთისო აენთო. საშენელმა ეჭვმა ბურბუში თავში.

— კუტავ, ხბო რად მომაკვლევინე?!.

— ბედ-შავო, და ვერა მხედავ, მოვრჩი?!.

— მე რაღა მომარჩენს?! აი, მეც ძვლები მემტვრევა... ამ სიტყვებით გადატრიალ-გადმოტრიალდა და ყოველ ლაწუნზე კუტასავით „ვაჰ, ვაჰის» ძახილი დაიწყო...

კუტა ეხლა ღა მიჰხვდა თავის შეცდომას. ლოგინი არ აალაგა და ჩინ-ჩხვარი არ გამოგავა. წამს ფერი ეცვალა და წამოდგა, მაგრამ არ დაბნეულა. თითქოს არაფერიო, მწვადი იქვე მიაყუდა და ღვთისოსთან ღიმილით მივიდა.

— საცოდაო, ციცამ შემოზიდა ჩინ-ჩხვარი ცეცხლის ასანთებათ. შენზე ფიქრობდა. მამას მწვადი მაუწვიო. ლოგინზედ გაუშლია და ეგა ლაწუნობს.

— კუტავ, მეც ვხედავ, ჩინ-ჩხვარი ლაწუნობს და არა ჩემი გვერდის ძვლები.. დაიყვირა და ზეზე წამოიჭრა.

კუტამ ნაბიჯი უკან წაჰსდგა...

— დედა.. —ხმაურობაზე წამოიყვირა ციცამ.

— ნუ გეშინიან, შვილო. ნუ... დაიძინე... მამაშენს ტყუილად უმზადებდი ცეცხლს. ტყუილად ჰსცდილობდი ამისთვის მწვადი შამეწვა... ეს კი ისე ყვირის, რომ გამოგაღვიძა...

— დედაა... ჯერ ისევ გამოურკვეველად წამოიძახა ციცამ.

ღვთისო დარცხვენილი დარჩა.

— დედაა... წამოიძახა კიდევ ციცამ და თვალების მოფშვნეტის შემდეგ მიიხედ-მოიხედა.

— იყუჩე, ჩემო სიყრმევ, იყუჩე... დაიძინე.

— ოლოლები არ მოსულან...

ოლოლების ხსენებაზედ ღვთისომ ყურები აცქვიტა. ციცას გვერდით დააცქერდა. იქ არავინ იწვა...

— კუტავ ბალღები სად არიან?!.

— არ მოსულან!.. ცივად უპასუხა კუტამ..

— კუტავ!.. გაშმაგებით შეჰხედა ღვთისომ, და... გარედ გავარდა...

XV

გარბოდა ტყისკენ ღვთისო და მიბუტბუტებდა: ერთი მოვრეკო „ოლოლები“ სახლში და იმათ წინ კუტას გულს გავუღადრავ, როგორც ხბოს გავუღადრე.

უკვე კარგად იყო შეღამებული, როცა ღვთისო ტყის პირას მივიდა. ბნელოდა ტყეში. თვალში თითი არ წაიტაკებოდა. ის მაინც შევარდა შიგ და მორთო ყვირილი... „ოლოლებოოო... ჩემო შვილებოოო!..“

მაგრამ პასუხი ვერსაიდან მიიღო. ხან აღმა ეცა ღვთისო და ხან დაღმა,—ხან გალმით და გამოლმით. თავპირი, ხელები სულ ჩამოეკაწრა; ტანისამოსი

შემოეგლიჯა. თითონაც ვერ მიჰხვდა და იყვირა: „შვილებოო... ჩიტო... ბეღურაა...“

„შვილებოო... ჩიტო... ბეღურა...“ ძირიდან —უფსკრულიდან ამოეხმაურა ყრუდ ტყე. წამს ყური დაუგდო ღვთისომ და ძირს ჩაიხდა,ე იქ წყვდიადის მეტი არა ჰჩანდა რა.

— იპოვე?..—მოესმა გაღმიდან ღვთისოს ნაცნობი ხმა ჩიტოსი.

— ვეერაა...—თითქოს იმავე მხარედან მწუხარე პასუხი ბეღურასი შემოესმა.

— შვილებო, სიხარულით წამოიძახა ღვთისომ —მე გიპოვით, მე?.

სთქვა ესა და დაქანდა ქვევით, რომ გაღმით გასულიყო. მაგრამ ამ დროს ფეხი მოუსხლტა, თავი ვეღარ შეიმაგრა და უფსკრულს შურდულის ქვასავით ჩაეშო. „შვილებო... შვილებო...“ ერთი ორჯელ მოისმა ღვთისოს ძახილი, შემდეგ ყრუდ ტოტების ლაწა-ლუწი და ოდნავი კვნესა...

— იპოვე?..

— ვეერაა... გულ-საკლავად ეკითხებ-უპასუხებდნენ ერთმანეთს „ოლოლები“...

XVI

როცა განთიადს ერთმანეთს შეჰხვდნენ დალალულ-დაქანცულები, ხევის ძირას ჩაეშვნენ და დაბურულ მუხის ტოტს თავი შეაფარეს. მაშინვე მიეძინათ.

სწორედ ამ მუხის ახლოს ყორეზე მთლად ჩაჩეჩქვილი სისხლში და თავის ტვინში მოთხვრილი ღვთისო ეგდო. ღვთისოს ადამიანის სახისა აღარა ეტყობოდა რა, ისე იყო ჩაჩეჩქვილი. გვერდით საცოდავად მოკუზულიყო ბროლა და ოლოლებს შეჰწკმუტუნებდა...

ბროლა იმ ღამეს ფეხ აკრეფით უკან აედევნა და ფეხ-და-ფეხ მისდევდა. არა შორდებოდა. და აგერ ეხლა იმის ლეშს ჰდარაჯობდა...

გამოეღვიძათ ოლოლებს მზის ჩასვლისას. მიიხედ-მოიხედეს, მაღლა აიხედეს, სადაც აუარებელი ყვავ-ყორანი თავს დასტრიალებდნენ. ბროლას საცოდავი ყეფა შემოესმათ. დაჰხედეს... ვერაფერს მიჰხვდნენ. ცნობის მოყვარეობამ წაჰსძლია და ლეშისკენ გაფრინდნენ. ბროლამ სიხარულით კუდის ქნევა დაიწყო და ახმაურდა. ოლოლები შორი-ახლოს ქვაზე წამოსხდნენ. ბროლა გაწვა მუცელზე და ხოხვით და კუდის ქიცინით ალერსის ნიშნად ოდნავ უახლოვდებოდა...

ყვავ-ყორანთ დაინახეს თუ არა ორი ბუმბლიანი ლეშის ახლოს, სათითაოდ დაეშვნენ და მორთეს ყაყანი—მოლაპარაკება. ოლოლები გაკვირვებით უცქეროდნენ ყოველივე ამას და ყურს უგდებდნენ ყვავ-ყორნის მსჯელობას. გაიგეს იმათი ლაპარაკი. იმაზე ჰქონდათ ბაასი, თუ იმათგან პირველად ვინ უნდა დაჰჯდომოდა ლეშს და ჭამა დაეწყო. ესმოდათ და უკვირდათ. ერთმა ბებერმა ყორანმა გადოჰძახა: „ეი, თქვენ ვინა ხართ?.. გეტყობათ გუალადობა.. მოდით, ჯერ თქვენ დაიწყეთ ჭამა და თუ ძაღლმა არა გითხრათ რა, მაშინ ჩვენ მოვკლავთ!..“

გადაჰხედეს ერთმანეთს ოლოლებმა... ტანი გაუჟრჟოლდათ, მაშინვე ორივემ კამარა შეჰკრეს და გაფრინდნენ. ბროლა საცოდავად აწკმუტუნდა.

ბეღურამ და ჩიტომ ვერ იცნეს ბროლა. ბუმბული გამოესხათ თუ არა, მაშინვე ფრინველების თვისება მიიღეს და ადამიანის ხსოვნა დაჰკარგეს. ახსოვდათ მხოლოდ ერთი რამ. ეს—დაკარგული ხბო და ამისთვისაც იქცნენ ფრინველებად, რომ თავიანთი საყვარელი ხბო უფრო კარგად მოენახათ და ეპოვნათ...

შ. არაგვისპირელი.

სალიტერატურო და სამუსიკო დილა

ტფილისის სათავად-აზნაურო გიმნაზიაში.

ეს დილა განსაკუთრებით საყურადღებო იყო მუსიკალურ განყოფილებით. ტყუილი არ გამოდგა ის ხმები, რომ სამუსიკო ნაწილი ამ გიმნაზიაში ჩინებულად არის დაყენებული. თამამად შეიძლება ითქვას, რომ დამსწრე საზოგადოება აღტაცებული იყო. მშვენივრად ჰყოლია გაწრთვნილი ბ-ნ ზ. ფალიაშვილს—ამ ნაწილის გამგეს —მომღერალთა და დამკვრელთა ხორო—ორკესტრი. ამის თვალნათლივი მაჩვენებელია რამდენიმე სერიოზული სასიმღერო და საორკესტრო ჰანგი ხოროსა და ორკესტრის მიერ ხელოვნურად ასრულებული, მაგალითად **სინტერმედია** „პიკოვაია დამა“-დან საჭირო მასალას. მისი მუსხკა ქალაქური ჟანრსა ბაიათური ჩაიკოვსკის ოპერა) **ინტერმეცო** „სოფლის პატიოსნებიდან“ (მასკანის ოპერა) ნამეტნავად უკანასკნელი ჰანგი შეასრულა ორკესტრმა დიდის გრძნობა-მეტყველებით. თუ სახეში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ორკესტრი სრული არ არის, ჩასაბერავი საკრავები მთლად არ ურევია ორკესტრში, დამკვრელთა უნარმა ერთი ორად უნდა იმატოს მსმენელის თვალში.

დიდი გულხმიერება გამოიწვია საზოგადოებაში ბ-ნ ანდრია ყარაშვილის ახალმა ნაწარმოებმა—ბალეტის სცენამ ოპერიდან „ვეფხის ტყაოსანი“. ბ-ნი ყარალაშვილი ჩვენ მემუსიკეთა შორის ერთი უნიჭიერესთაგანია. ქართველ საზოგადოებას კარგად ახსოვს მისი **სამშობლო** —კრებული პაწია ჰანგებისა, რომელიც ერთმანეთზედ ხელოვნურად არის გადაბმული, რის გამოისობითაც იგი მთლიან ნაწარმოების შთაბეჭდილებას იწვევს მსმენელის გრძნობა-გონებაში. ბ-ნი ყარაშვილი თავის ნაწარმოებთათვის ჯერ-ჯერობით ქალაქის ხალხურ მუსიკაში ჰპოვებს ბ-ნი ყარაშვილი მოტრფიალეა მელოდიისა და ამ მხრივ იგი კარგი ხელოვანია. მისი მუსიკა მუდამ სასიამოვნო, საამური მოსასმენია, დამატკბობელი და ამიტომაც ადვილად გასავრცელებელი უკანასკნელი ნაწარმოები ბაიათურია კინტოურ ლეკურ ჰანგებ ჩართული. მშვენი-

ერის დასწყისი, ბალეტისა, რომელსაც უფრო დარბაისლური-სიმფონიური ერი სდევს.

დიდს სამსახურს გაუწევდა ბ-ნი ყარაშვილი სამშობლო ხელოვნებას, რომ ნამდვილ ხალხურ—ე. ი. არა მარტო ქალაქურ —ჰანგების შემუშავებისათვისაც მოეკიდა ხელი. აი, სწორედ ამ ჰანგებშია „ნიჭთა სიუხვე“ ქართველ ერისა და ბ-ნ ყარალაშვილის ნარნარი ნიჭი, დარწმუნებული ვარ,—აქაც თავისუფლად გაშლიდა ფრთას. ბ-ნ ყარალაშვილის ორმა ნაწარმოებმა თვალნათლივად დაგვანახვა, რომ მას აქვს ის განსაკუთრებული ალღო, რომლის საშუალებით სულის და გულის იერს ართმევს ამ თუ იმ ხმას და მერე ეს იერი ნირშეუცვლელად გადააქვს შემუშავებულ ჰანგში. ეს თვისება ნიჭისა უეჭველად საჭიროა, თუ მემუსიკეს უნდა, რომმის შემოქმედებას ეროვნული სახება ჰქონდეს... და მხოლოდ ამ გზით განვითარდება ამა თუ იმ ერის ხელოვნება.

საზოგადოდ „დილა“-მ მშვენიერი შთაბეჭდილება იქონია დამსწრე საზოგადოებაზე ი.

ნუცალ ხანი

ისტორიული მოთხრობა.

(ვუძღვნი ძმებს კოტეს და მიტროს).

მთელი არსება მოეხუშა, მოეწამლა მეცხვარემ რა გაიგო თავის ქვეყნის ვითარება. ბარს, შხამიან კლანჭებმა შეჰბოჭა მის გული და უწყალოდ დაუწყო ქეჯნა, სრული სიჩუმე ჩამოვარდა, სამნივე კარგა ხანს ისხდნენ დადუმებულნი და შეჰყურებდნენ ცეცხლს, რომლის ალი ხარბათ ევლებოდა დეკს და ანათებდა მათ დაღვრემილ სახეს.

კაცო, ნუ თუ სხვა სახსარი, სხვა გზა არ იყო, რომ ეგ გაუგონარი სირცხვილი არ დაგვედოთ ჩვენ თავს, ჩვენ ქვეყანას? ნაღვნლიანათ წარმოსთქვა მეცხვარემ.

— არ იყო. დროებამ მოიტანა,

— როგორ არ იყო, თითქო საყვედურით უთხრა მეცხვარემ,—ვერ გაუძლებდა განა თუშეთი შენი ნუცალი ამ ერთ კვირასაც. სანამ მეფე მოგვეშველე ბოდეს?

რა გამოვიდოდა, თუნდაც რომ გაგვეძლო, უპასუხა ითაბანულმა დიდ-დიდი აშენებული სოფლები მიწასთან გაასწორა, მცხოვრებნი ამოიჟლიტნენ, მერე ამ ერთ კვირას რამდენი სისხლი დაიღვრებოდა, რამდენი ნადირი გაწყდებოდა. პატარა თუშეთი მეტს ვერც შესძლებდა. რა გაძლებაა იმისთანა გაძლება, თუ-კი ბოლოს ხალხი აღარ დარჩებოდა, ამოწყდებოდა უთანასწორო ბრძოლაში?! აი ანთამ ამისათვის გადაზდო თავი, რომ მათ აკმარებინა თავის სამშობლოს უბედურება, რა უბედურებაც დაატყდებოდა მას ამ ერთ კვირაში. უნდა კადაედო თავი დიაცსაც, მაგრამ ვაშა მას, რომ ნამუს შეუბღალავი წარუდგა თავის მშობლებს სულეთში..,

გიორგი ადგა და რა დაათვარიელა ცხენები წამოიხურა ნაბადი და აქვე, ცხენების ახლო მწვანეზე წამოწვა დასაძინებლად. დაწვნენ ითაბანული დამწყემსიც, ჩაქრა ცეცხლიც და მით მთელი ბინა ისევ სისხლით მოიცხო: წამოწვა ომალოელი დასაძინებლად, მაგრამ ძილი არ მოსდიოდა. დახუჭა თვალები თუ არა ტირინე წარმოუდგა წინ. ეს ტირინე რომელიც ამ რამდენიმე ხნის წინ იდგა მის წინ და საყვედურით აღსავსე თვალებით შეჰყურებდა მას. წამოვარდა ზეზე აჰყიტა თვალები და შუბლზე მაგრად გადისო ხელი. მივიდა ცხენთან. ცხენი არხეინად გემრიელად ახრამუნებდა ნოყიერ მწვანე ბალახს, როდესაც პატრონი მიუახლოვდა აიწია თავი აცქვიტა ყურები და დააცქერდა. შემდეგ ერთი დაიბლერტა ფაფარი, დაიფხრუტუნა და ისევ ჩაჰყო თავი მწვანეში სიბნელე, სიჩუმე მყუდროება რაღაც საშინელებას წარმოადგენდა გიორგისთვის. დასამშვიდებლად ხან გაივლ-გამოივლიდა, ხან ჩამოჯდებოდა რომელიმე ლოდზე, მაგრამ ვერა და ვერ მოიშორა დის სურათი, ვერ დასცლის გულს, რომელიც საშინელ ცეცხლში იხრუკება... თეთრად შეიღება აღმოსავლეთი. ბევრმა ხანმა არ გასტანა. მთების მწვერვალოების წვერიდგან ამოჰყო თავი ღამის გუშაგმა. მისი თეთრი რგოლი მაღლა და მაღლა იწეოდა. აჰა ამოვიდა და ნაღვლიანად გადმოხედა მიმინატურო დედამიწას. თითქო რაღაც სევდით აღჭურვილიყო ეს ღამის დარაჯი. მოქუშული და წარბ შეჰმუხნული მისი სახე თითქო გვისაყვედურებდა ჩვენ დედამიწის მატლებს-ადამიანებს გაუმაძღრებს, ერთი ერთმანეთის სისხლის სმას, ვერაგობას, შურსა მეტიჩრობას და ყოველ გვარ საძაგლობას... თითქო ამბობდა: ადამიანო, რაღა გინდა? რა გაკლია? ხომ ყოველ სიკეთით უხვადა ხარ დაჯილდოებული იცხოვრე ტკბილად, მშვიდად, გადახვიე ძმას მეგობრულ ხელი და იბედნიერე სანამ ხართ სამწეო, მაგრამ მოვა დრო, რომ ადამიანის გული დაკმაყოფილდეს, გაძღეს!?..

გარემო ბუნება მეტის მეტი თვალ და გულწარმტაცი იყო. წყვდიადმა აევ-ხევების უფრსკრულები მონახა. მიყრილ მოყრილი მთები ჩახუტულიყვნენ ერთმანეთში და ტკბილად ჩასძინებოდად. აქა იქა, როგოც დარაჯნი აშვერილიყვნენ. მათი ქვიშიანი მწვერვალები დაჰყურებდნენ თანამოძმეებს. ძირს ღამის ბურუსში მოსჩანდა კახეთი. მომხიბლავად ტკბილად ჩასძინებოდა და ზაფხულის სიცხის ბუღისაგან შეწუხებულს მიეშვირი გულ-მკერდი მთის სიოსკენ გასაგრილებლად, მისძინებოდა თავის კალაპოტში ალაზანსაც. და ოდნავ-ღა ბუტბუტებდა გაისმოდა მშობელ ქვეყნის კვნესა და გმინვა,.. ეჰ, კახეთო, გული ამიტოკდება, სისხლი ამიჩქროლდება, რაღაც სიამოვნება ამიტანს ხოლმე როდესაც გადმოვხედავ სამშობლო მთებიდან. მშვენიერი ხარ. ყველაფრით უხვად დაჯილდოვებული, მაგრამ რამდენიც კარგი ხარ, იმდენად გული უკვდება შენ უბედურ შვილს....

ივ. ბუქურაული.

რედაქტორ-გამომცემელი: **პეტრე სურგულაძე.**

განყოფილეაბ **„პროგრესის“** სტამბისა სასახლის ქ., თავად-აზნაურების სახლი